ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისფერი ყანწები

№ 3

ალმანახი — მარტი.

1910

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—მარიამის ხსოვნას,—ლექსი, დ. თომაშვილისა 3

II—პურის მარცვლის ნაამბობი,—ივ. გომაროელისა 5

III—მთაში,—ლექსი, შემოდგომის სურათები ვაჟა-ფშაველა-
სი, (დასასრული) 14

IV—საბცარი მკურნალი, - კუბრინისა, (თარგმანი) კანდე-
გილისა (დასასრული). 19

V—ედიტა და ქორდი,—ეკ. ლორთქიფანიძისა 26

VI—დავით ებრაელთა მეფე და სოლომონ ბრძენი,—კან-
მოკვეთებული, თეო კანდელაკისა 33

VIII—ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთ-
ლისა,—ს. მიქაბერიძისა 38

IX—ფუტკარი და მისი ცხოვრება,—ალ. წულაძისა 42

X—ჰაერის დამორჩილება,—(მ. სომოვით) ახვლედიანისა . . . 47

XI—საზღვარ გარედ,—(მოგონებანი და შთაბეჭდილებანი) არჩ.
ჯორჯაძისა 50

VII—ჭიაც მოსახმარია, თუ კაცი გონიერია,—(თარგმანი)
ს. ორბელიძისა 53

XII—ელექტრონის ვილლა— 60

XIII—ა) გამოცანები,—ბ) რებუსი და აღსნა 63

ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეექვსე

მარტი, 1910 წ.

ტფილისი, ელექტრომბეჭდავი წიგ. გამოცემა ეროვნული ამხანაგობისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—მარიამის ხსოვნას,—ლექსი, დ. თომაშვილისა 3

II—პურის მარცვლის ნაამბობი,—ივ. გომარეულისა 5

III—მთაში,—ლექსი, შემოდგომის სურათები ვაჟა-ფშაველასი, (დასასრული) 14

IV—საოცარი მკურნალი, - კუბრინისა, (თარგმანი) კანდეგილისა (დასასრული). 19

V—ედიტა და ქურდი,—ეკ. ლორთქიფანიძისა 26

VI—დავით ებრაელთა მეფე და სოლომონ ბრძენი,—გადმოკეთებული, თეო კანდელაკისა 33

VIII—ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა,—ა. მიქაბერიძისა 38

IX—ფუტკარი და მისი ცხოვრება,—ალ. წულაძისა 42

X—ჰაერის დამორჩილება,—(მ. სომოვით) ახვლედიანისა . . . 47

XI—საზღვარ გარედ,—(მოგონებანი და შთაბეჭდილებანი) არჩ. ჯორჯაძისა 50

VII—ჭიაკ მოსახმარია, თუ კაცი გონიერია,—(თარგმანი) ს. ორბელიძისა 53

XII—ელექტრონის ვილლა— 60

XIII—ა) გამოცანები,—ბ) რებუსი და აღსნა 63

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიაჭის ხსოვნას

ედის სწორი, მწრთვნელი, მზრდელი,
ნაამაგარ-ჭირნახული
გაგვიქრა და ცხარე ცრემლით
მოქვითინებს „ნაკადული“.

მშობლიურის მზრუნველობით
ჩვენთ ყრმათადმი გამსჭვალული,
მომავალის თაობისა
უანგარო მოციქული.

ჩვენის აწმყო სწავლა-აღზრდით
გულ-დამწვარი, დადაგული,
საწაღმართო დროშით ხელში,
დიად ნატვრით გამსჭვალული.

დაუღალავ შრომის ოფლით
სამარის კარს მიწურული,
ბევრის ფიქრის თან წამღები
და მით გრძნობა დათუთქული.

თვისას კიდევ ზედ დაურთო
უდიდესი ერის წყლული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყის გაუწყდა ცხოვრების გზა,
ნარით, ეკლით მოკირწყლული.

მაგრამ უფრო მწარ გრძნობად ჰფეთქს
ქართველ ყრმათა ნორჩი გული
და ცრემლს აფრქვევს აიაზმად
მას, ვინც შეჰქმნა „ნაკადული“.

დ. თომაშვილი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰურის მარცვლის ნაამბობ

ითბომ დამიარა მთელს ტანში. ერთი შევინძერი და თვალები გავაჭყიტე. მივიხედ-მოვიხედე: ძმებსა და დებს ვიყავი ჩახუტებული. ერთმანეთს გადავხედეთ, გაგვეცინა. სად ვიყავით მანამდე ან მე ან ჩემი დები, მე არაფერი არ ვიცი. დედა ჩვენი მაღალი იყო, მწვანე.

— დედა, რატომ აქამდინ ვერ გხედავდი ვერც შენ, ვერც ჩემს დებსა და ძმებს? დავეკითხე დედა ჩემს.

— სსუუ!— რხევით მიპასუხა დედამ: წყნარად იყავი, თორემ აგერ მწყერი მოგჩერებია; თუ მოგასწრო, გადაგყლაპავს.

გადმოვიხედე ძირს და დედა ჩემის ფეხებთან იდგა რაღაც სხვილი და თვალს არ მაშორებდა. მე შემეშინდა, გავინაბე და კიდევ უფრო ჩავეკარი ჩემს დებსა და ძმებს. თვალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი იმ საშინელ არსებას არ ვაშორებდი. პატარა ხანს ვიყურე-
რა, შემდეგ რაღაც წამოიჭუკჭუკა, გასრიალდა და მიიმალა.

— დედა, დედა! ეს არის მწყერი? დავეკითხე დედას გუ-
ლის ფანცქალით.

— ეგ არის, შვილო! მაგისაანა მტერი მე არა მყავს.
ბარე ორსა და სამს ჩემისთანა დედას აატირებს ეგ შეჩვენე-
ბული.

გავიხედე გარშემო. სულ იმისთანა მწვანე დედები იდ-
გნენ, როგორც ჩემი დედა. აქეთ-იქით ირხეოდნენ. უბეში
ყველას იმისთანა შვილები უსხდა, როგორც მე და ჩემი და
ძმები. მე შევხედე. იმათაც შემომხედეს.

— შენა ხარ? დაუძახე ჯერ ერთს, მერე მეორეს, მესამეს.

— მე ვარ! მე ვარ! მომესმა აქეთ-იქიდან. მე გამეცინა.
იმათაც გაიცინეს. ყველამ სიცილი დავიწყეთ.

ავიხედე ზევით. ისეთი სინათლე მეტაკა, რომ თვალები
ამიბრჭყვიალდა.

— დედა, დედა! ეს რა არის? დავეკითხე დედას.

— რა, შვილო?

— აი, აი ეგერ ზევით, ძალიან რომ ანათებს.

— ჰო, ეგ მზე არის, შვილო!

თვალები რომ გადამეწმინდა, კიდევ შევხედე მზეს. მა-
ლე შეეჩვიე და მიამა. ძალიან მათბობდა.

მთელი დღე ნეტარებაში გავატარე და მიმეძინა. თვა-
ლი რომ გავახილე, გარშემო ბნელოდა. მზე აღარ ანათებ-
და კარგად; აღარც მათბობდა. შემცივდა.

— დედა! მზე ჩამქრალა! მივმართე დედას.

— ეგ მზე კი არ არის, მთვარეა. მიპასუხა დედამ.

— მაშ, მზე რაღა იქნა? დავეკითხე დედას გაკვირვებული.

— დასასვენებლად წავიდა და ისევ მოვა. ახლა შენც
დაისვენე,—მითხრა დედამ.

როგორ მიმეძინა, არ მახსოვს. ხოლო თვალი რომ გავა-
ხილე, ყოველისფერი მზის შუქით იყო გაბრწყინებული. გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხარდა. სიცილი დავიწყე. გარშემო ყველა იცინოდა, ხარ-
რულებდა.

ასე მიდიოდა დღეები. ბედნიერი ვიყავი. ხანდახან მწყე-
რის ჭუკ-ჭუკი მაშინებდა, მაგრამ ამასაც მალე მივეჩვიე. თუმ-
ცა დამცხებოდა ხოლმე, მაგრამ ღამე ვგრილდებოდი. ხან და-
ხან წვიმა მოდიოდა და იმითი ვიგრილებდი პირს.

ერთხელ საშინელი სიცხე ვიგრძენი: გვერდები კინალამ
დამეხრაკა.

— თქვენ არა გცხელათ? დავეკითხე ჩემს დებსა და ძმებს.

— როგორ არა გვცხელა. დავიწვით ეს ეს არის, —მი-
პასუხეს.

— დედა, გვცხელა! დაუძახეთ დედას.

— მეც ძალიან მცხელა, პირი მიშრება, ფესვებით წყალს
ვეძებ მიწაში, მაგრამ ველარსად ვნახე. რაღაც ცუდი ამბავია
ჩვენს თავს,—გვიპასუხა დედამ.

გადავხედე დედას, ყვითელი ფერი დასდებოდა.

— გვცხელა, გვცხელა, გვცხელა! ისმოდა ჩემს გარშე-
მო კვნესა.

გადიოდა დღეები. ჩემი მხიარულება სიმწარეთ შეიცვა-
ლა. სიცხისაგან გვერდები დამეხრაკა, გავშრი, გავხმი; ერ-
თი წვეთი წყალი მთელს სიცოცხლეს მერჩივნა, მაგრამ არ-
სად იყო.

— დედა, წყალი, წყალი! —წამოვიკნავლე, მაგრამ დედა-
ჩემმა ხმა არ გამცა.

— წყალი, დედა, წყალი! დავიწვი, გავხმი! —შევჩიოდი
დედას, მაგრამ ის ხმას არა მცემდა. გადმოვხედე დედას და
რა დავინახე! დედა ჩემი მთლად გამხმარიყო, გაყვითლებული-
ყო და მომკვდარიყო.

მწარე ფიქრში რომ ვიყავი, მოცვივდნენ კაცები ნამ-
გლებით და დაუწყეს ჭრა ყველა დედებს. დედა ჩემიც სხვებ-
თან ერთად მოსჭრეს, სხვებთან ერთად შეჰკონეს, ურემზე
დაგვიდეს და წაგვიღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიშმა მთლად დამავიწყა ყველაფერი. მიგვიტანეს ალაგას და დაგვყარეს. რამდენსამე ხანს ასე ვიყავით. შემდეგ გაგვშალეს მიწაზე, მოიყვანეს ხარები და ცხენები, შეუბეს დიდ ფიცრებში, რომელსაც კევრს ეძახდნენ, დაგვადეს თავზე, დასხდნენ ზედ და გააქანეს. საწყალმა დედა ჩემმა სულ ლაწი-ლუწი დაიწყო, მე ტკივილისაგან გული შემიწუხდა და აღარაფერი მახსოვს მეტი. გონს რომ მოვედი, სხვა მარცვლებთან ერთად ტომარაში ვიყავი. ჩემი დები და ძმებიც აქ იყვნენ.

— ხვალ დილით წისქვილში უნდა წახვიდე და კარგად დაფქვა! მომესმა ლაპარაკი.

ჩვენ ყველანი სმენად გადვიქეცით. ნეტა ახლა რაღას მიპირებენ მეთქი, ვფიქრობდი გულში. მეორე დღეს დაგვდეს ურემზე და ტრიალ-ტრიალით წაგვიღეს სადღაც.

რამდენისამე ხნის შემდეგ მივედით ერთ სახლთან, საიდანაც რაღაც გრიალი მოისმოდა. აიღეს ჩვენი ტომარა და სადღაც ჩაგვყარეს. ბევრ შიშს გამოვლილს, იმდენად აღარ მეშინოდა. რაც მომივა, მომივიდეს მეთქი, ვეუბნებოდი ჩემს თავს ილეჯ-გაწყვეტილი. უფრო იმისი გაგება მინდოდა, თუ რას გვიპირებდნენ. თვალს ვადევნებდი ჩემს ამხანაგებს. ისინი ქვევით-ქვევით მიცურავდნენ და ძირს ვარდებოდნენ; ქვევიდან კი კვნესა ისმოდა და გრიალი. ფიქრმა ისე გამიტაცა, რომ ვერ შევამჩნიე, როგორ ჩამოვცურდი ძირს. რომ გადმოვიხედე, შემეშინდა: ქვევით რაღაც უზარ-მაზარი, თეთრი და მრგვალი საშინელის სისწრაფით ტრიალებდა, უშველებელი შავი პირი დაეღო და გრიალი გაჰქონდა. შიშმა ამიტანა, წავტორტმანდი, თავი ველარ შევიკავე და შიგ პირში ჩაუვარდი. ერთი საშინლად დაიგრიალა. შემდგა ზედ ზურგზე და ისე გამსრისა, რომ მთლად მტვრად მაქცია. ჩემს გარშემო ათასობით იყვნენ გასრესილები. ყველა ჩემი ამხანაგები ამას ჩაუცვივდა პირში, ყველა გასრისა და შემდეგ გაჩერდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყნარდა. მოგვაგროვეს ერთად. ჩვენმა მომტანმა ხელზე დაგვიყარა და სინჯვა დაგვიწყო.

— კარგი ფქვილი გამოსულა! წარმოსთქვა და ტომარაში გვიკრა თავი.

წაგვიღეს უკან და ისევ სახლში მიგვიტანეს.

— ნუ თუ ჩემი ტანჯვა ალარ დასრულდა? ვეუბნებოდი ჩემს თავს.

ერთ დღეს დაგვყარეს გობზე, მოიტანეს წყალი და დაგვასხეს თავზე. იმისთანა ცხელი იყო, რომ მთელი წარსული წვალება მთლად დამავიწყდა. სანამ გონს მოვიდოდი, დაგვიწყეს სრესა, გვსრისეს და გვზილეს ასე რამდენსამე ხანს, შემდეგ დაგვაგუნდავეს, გაგვაპრტყელეს და რაღაცა გახურებულზე დაგვაკრეს. ქვევიდან ცეცხლი გვენთო. მივეკარით ყველა ერთმანეთს. დავიწვით, გავსივდით. მოვიდა ბოლოს ვიღაც მადლიანი, ამოგვიღო და სიგრილეში დაგვდო. ცოტა სული მოვითქვი.

—დედა, მშიან! —წარმოსთქვა ბავშვმა, როცა სახლში შემოვიდა.

— გშიან? ეს პური ჩემს სანდროს! წარმოსთქვა დედამ, აგვიღო და ბავშვს მიგვცა. სანდრომ წაგვავლო ხელი, გაგვაქანა პირისაკენ და გარედ გამოვარდა. სხვებთან ერთად მოვხვდი პირველად პირში. ჯერ გვღეჭა და შემდეგ გადაგვყლაპა. სულ ცურვით წავედი და კუჭში მოვექეცი.

ცოტა იქნება დავისვენო მეთქი, ვიფიქრე გულში, მაგრამ ვინ მაღირსა დასვენება! ჩავედი თუ არა კუჭში, ყოველ მხრიდან მეავე წვენმა იწყო ჟვანა, კუჭი ნახევრად გაივსო თითქმის ამ წვენით და სხვებთან ერთად შიგ ვიწყე ცურვა, მაგრამ ვაი იმ ცურვას, ამეწვა გვერდები, გამიჯდა მთელ ტანში კუჭის წვენი, გამბერა, გამასივა და მალე მთლად გავითქვიფე, წყალივით გავხდი. ერთი შეინძრა კუჭი, მომაწვა ყოველ მხრიდან და ვიწრო პირიდან ქვევით გამაგდო, წელებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ უარესი დღე დამადგა. გამოვშორდი თუ არა ბუსუსს, იმისთანა მწარე წყალში მოვექეცი, რომ მთლად მომშხამა.

წელებში გარს შემომეხვივნენ ბუსუსები, დამიწყეს წოვა; მთლად შემისვეს, შემიწოვეს. აქედან გადავედი წვრილ მილში და გაუდექი ნელ-ნელა გზას. სად მივდიოდი, მეც არ ვიცოდი. წვრილის მილით უფრო მსხვილში გადავედი და წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება! რამდენიმე ჩემი და, ძმა და ნაცნობები შემხვდნენ!

რასაკვირველია, ძალიან გაგვეხარდა, გადავეხვიეთ ერთმანეთს და გავსწიეთ სულ ცურვით. იმ მილში, რომელშიაც ჩვენ მივცურავდით, სულ თეთრი წყალი იყო.

უცებ გადავცვივდით რაღაც ღრმასა და სქელში, სულ წითლად შევიღებეთ და საშინელის სისწრაფით, სულ ტრიალ-ტრიალით გავსწიეთ შორს, შორს. ცოტა რომ გამოვერკვიე, დავინახე, რომ სხვილ მილში წითელი წყალი მიცურავდა და თან მივქონდი. როგორც შემდეგ გავიგე, მე თურმე სისხლს შავერიე და სისხლის მილით მივედი ღვიძლში, აქედან გულში ჩავედი და გულიდან კი—ტვინში.

როგორ გავიგე მე ყოველივე ეს?

აი როგორ.

საშინელის სისწრაფით მივცურავდი წითელ წყალში. მილი თანდათან წვრილდებოდა და ბოლოს ისე გაწვრილდა, რომ მილში ძლივს მივცურავდი. ბოლოს მილი სრულებით გაჭრა და გარეშემო რაღაც რგვალი და წოწლოკინები შემომესივნენ; ერთმა შამამხვია გარშემო ფეხები და გადამყლაპა. მე გონება დავკარგე და, როცა თვალები გავახილე, წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება! ის კი აღარ ვიყავი, რაც ვიყავი—მეც რგვალ და წოწლოკინა არსებათ გადავქცეულვიყავი. ვინც მე გადამყლაპა, ის გვერდით მიდგა და სწორედ იმისთანა ვიყავი!

— ვინა, ხარ შენ? დავეკითხე.

— მე ვარ ტვინის უჯრედი,—მიპასუხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე რაღა ვარ? დავეკითხე ისევე.

— შენც ახლა ტვინის უჯრედი ხარ, მიპასუხა.

— რა ნაირად მოხდა ეს, როცა მე პურის მარცვალი ვიყავი, შემდეგ ფქვილად მაქციეს, პურად გამომაცხეს და სანდრომ შემჭამა? დავეკითხე გაკვირვებული.

— მე გადაგყლაპე, გადაგაქციე ჩემისთანა უჯრედად და ჩემს გვერდით დაგაყენე,—მიპასუხა.—ახლა შენც ასე უნდა მოიქცე. აი აგერ რომ მოსცურავს, ის შენ უნდა გადაყლაპო, ამას კი მე გადავყლაპავ.

ჯერ არ გაეთავებინა ლაპარაკი, რომ რაღაცა შიგ ფეხებში გამებლანდა. გადავყლაპე. მთელმა ჩემმა შიგნეულობამ საშინელის სისწრაფით დაიწყო ტრიალი. გავხურდი, ავტოკდი. რა მოხდა ჩემს ტანში, მე თვითონაც არ ვიცი. გვერდი გამომებერა, გამოიწია და იქიდან ჩემისთანა უჯრედი გამოხტა: მე რომ გადავყლაპე, ისიც უჯრედად გადიქცა ჩემს ტანში!

ამ გვარად, მე ერთ დროს ყანაში ვცხოვრობდი, პურის მარცვალი ვიყავი. ახლა მე სანდროს ტვინში ვიმყოფები, ტვინის უჯრედად გადაქცეული.

რას ვაკეთებ?

სანდრო ახლა სასწავლებელშია და მე რიცხვებს ვიხსომებ. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი... მე ახლა უკვე ოცამდინ ვიცი. ჩემს გვერდით რომ უფროსი უჯრედია, მე რომ გადამყლაპა, ის სწორედ სარკეა: ხან ხე გამოჩნდება შიგ, ხან ჩიტი, ხან ბავშვი, ხან ყანა, ხან პური. დავეკითხე და ამიხსნა. თვალები მე მიგზავნიან სხვადასხვა სახეს და სურათს, რომ დავიხსომო. ჩემს გვერდით რომ პატარა უჯრედია, მე რომ გადავყლაპე, ის დიდ ხანს იყო ჩუმად; ახლა კი სულ ამას იძახის: ან, ბან, გან, დონ, ენ ვინ. თურმე ანბანსა სწავლობს!

ახლა არ იკითხავთ ამ უჯრედის თავგადასავალს?! ყველაფერი გამოვკითხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ პირველად ის ბალახად ამოსულა მინდორში, მერე სულა ძროხა და შეუჭამია საწყალი. ბევრი უმოგზაურია ჯერ ძროხის კუჭში შემდეგ ნაწლავებში, შემდეგ ძროხის სისხლში, საიდანაც ღვიძლში გადასულა; აქედან გულში, გულიდან ძროხის ძუძუებში და აქ კი რძეთ გადაქცეულა.

ძროხა სანდროს დედისა ყოფილა. დედას გამოუწველია და სანდროსთვის მიუცია. სანდროს დაულევია და ამ გვარად რძეთ გადაქცეული მინდვრის ბალახი სანდროს კუჭში მოექცა. აქედან კი ისე იმოგზაურა, როგორც მე. ბოლოს ჩემთან მოხვდა და მე ის ტკინის ნაწილად, ტვინის უჯრედად გავხადე. ორივე ძალიან კმაყოფილი ვართ. მე რომ პურის მარცვლად დავრჩენილიყავი ყანაში, სულ იმის შიშში უნდა ვყოფილიყავი, მწყერმა არ გადამყლაპოს მეთქი. ახლა კი მოსვენებული ვარ და რიცხვებსა ვსწალობ.

ახლა კიდევ რა გავიგე! ჩემი ერთი ძმა სანდროს კუჭში უჯრედად გადაქცეულა და მეორე წვენს ამზადებს, მეორე ღვიძლში გადაქცეულა უჯრედად და მწარე წვენს ამზადებს. ერთი და ღლიაში გადაქცეულა კიდევ უჯრედად და სულ ოფლს ამზადებს, მეტს არაფერს. სხვებს რა დაემართათ, არაფერი არ ვიცი. ჩემი ნაცნობები და ამხანაგებიც, ვინც ჩემთან ერთად სანდროს კუჭში ჩამოვიდა, ბევრ სხვადასხვა უჯრედებად გადიქცნენ, ზოგი კანად, ზოგი ძვლად, ზოგი ხორცად, ზოგი გულშია, ზოგი—ღვიძლში, ზოგი—წელში, ზოგი ტვინში,—სხვები კი ისე დაიკარგნენ, რომ მათი არა ვიცი რა, თუმცა ჩემთან ერთად ჩამოვიდნენ აქ.

საკვირველია სწორედ: ყველა, ვინც აქ მოდის, ზოგი სანდროს სხვადასხვა ნაწილებად იქცევა, სხვები კი სრულებით იკარგებიან, რომ იმათ ასავალ დასავალს ვერ ვიგებთ.

ჩემს მოშორებით ერთი მსხვილი უჯრედია. ერთხელ იმას დავეკითხე, რადგანაც ის ყველაფერს ჰხედავს და აი რა მითხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინც აქ მოდის, არავინ არ იკარგება და არა ჭკუა. შენ რომ გგონია, უგზო-უკვლოდ დაიკარგნენო, კი არ დაკარგულან, სითბოდ გადიქცნენ და ჩვენ დაგვტრიალებენ გარშემო. ისინი რომ არა, ჩვენ გავცივდებით და დავიხოცებით.

— მერე შენ სითბოს ჰხედავ? დავეკითხე მე.

— მე ყველაფერსა ვხედავ, – მიპასუხა.

ივ. გომართელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთაში

ზემოდგომის სურათები

(დასასრული)

V

ეღერებს ჩონგურს მოხუცი,
დაჰმღერს ძველებურს ჰანგებსა...
მაშ, რით გავერთოთ, რა უყოთ,
ამოდენს სთვლისა ღამესა?!
ვისა ჰშურს მდიდართ სიმდიდრე,
რა უთხრა იმათ ბანკებსა?!...
ფშაურად როგორ ცეკვავენ,
უნდა უცქიროთ ბალღებსა!
სიტიტვლე არაფერს უშლისთ,
ცხოვლად ახელენ თვალებსა;
მოაგონებენ მოხუცთა
ახალგაზდობის წამებსა.
კერაზე ცეცხლი გიზგიზებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეშა უწყვია ჭალისა:
ზოგი ვირებით ნაზიდი,
ზოგიც ნატვირთი ჭალისა.
ჭირიმე იმის ტკრციალის,
ჭირიმე იმის ალისა!...
ხანდახან საზანდრებიცა
გვესტუმრებიან სტვირითა.
რაჭველი ვინმე მხარ-ბრტყელი
მოპარსულისა პირითა,
ქებას შეგვასხამს ყველასა
ლულუნით, ენა-ტკბილითა.
ბეჩავს კაცს ატარიელებს
და, პირის მბანელს ჭირითა,
დიაცსა, ადარეჯანებს
თავის ქამანჩა-სტვირითა.
საცინელი გვაქვს,—ვიცინით,
სატირელზედა ვსტირითა.
როცა ყრილობა გვწადიან,
მაღალის ხმითა ვყვირითა;
ვეძახით ერთი-მეორეს
სოფლის თავს,—სოფლის ძირითა.
თუ აგვიტირდა ბალღები,
ვათირებთ პანტის ჩირითა.

VI

საფქვავიც შემოგველია,
მრავალი საქმე გვიხდება,
ვერცა ვკალოობთ დროზედა,
ამას მთის კაცი მიჰხვდება:
გვიან გადავრჩით სამკალსა,
ზედაც დაგვიდგა ავდარი;
მთას შემოდგომით თან ახლავს,
როგორც ბოქაულს ჩაფარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც საფქვავი გვაქვს, ვერა ვფქვავთ—
ეს წისქვილების ბრალია.
აღარვინ ჰმართავს, ამ დროსა
იმათთვის ვისა სცალია?
მაინც მირბიან წისქვილში
ბებერი, პატარძალია;
მირბიან გაფაციცებით,
თან მიაქვთ დასაფქვავია.
იქ ცილობაც მოხდება,
საქმე მოხდება ავია.
ლანძღვას მოჰყვება კრივიცა
და გაიშლება მკლავია.
თუ სარეკელა რაკუნობს,
ნაჭლიკაში დის ხვავია,
ჩიტოც[1]) არ დაუვარდება
მთქმელი და მოკრივალია.
ერთური,[2]) დუთა[3]) მხარს უჭერს—
დედამთილი და რძალია.
ვინა კითხულობს, თუ სადმე
რჯული და სამართალია:
პატრონსაც არ აპატრონებს
წისქვილზე იმათ ძალია;
სამივე გათქმული არი,
ფიცხელი მეუმარია...
ჩიტო თოფითა—ბერდანკა
სასროლად ფრიად მალია;
ეთური დუთასთან ერთად
ამოღებული ხმალია.
თუ ვინმე გაიმარტოვეს,

[1]) დედაკაცის სახელია.
[2]) დედაკაცის სახელია.
[3]) დედაკაცის სახელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაი იმისი ბრალია!
დაიფქვის იმათ საფქვავი,
საჯერო გინდა ხალია[4]).
ვინ ეტყვის უარს, ან თავი
ვისა აქვს მოსაკლავია?!

VII

რა წამსაც ავდარს დაიწყებს,
მთებს შევცქერივართ ჭალითა.
რამდენად ჩამოიწია
თოვლმა, მას ვზომავთ თვალითა.
გვიახლოვდება ზამთარი,—
ვინ გააბრუნებს ძალითა?
მოიპარება ნელ-ნელა
ტვირთ-მძიმე სურდო-მჭვალითა.
თეთრს კბილს გვიჩვენებს, გვიცინის
გული სავსე აქვს შხამითა.
მტერსა ჰგავ ფლიდსა, ცბიერსა
დაგმეგობრდება ფერობით.
როცა ჩაგიგდებს ხელშია,
სულს ამოგხუთავს მტერობით.

VIII

მონადირეებს როდი სწყინთ,
გაჰხარებიათ კიდეცა;
გამართეს ჯაზეირები,
მხარზედაც გადიკიდესა.
ნადირის კვალი ცხადად სჩანს,
რაც თოვლზე გაივლიდესა:
დათვისა, შვლისა, ირმისა,—
მელა თაგვებსა სთხრიდესა;
ციყვები მიჰქსელ-მოჰქსელენ
კვერნისა დანაბიჯებსა.

[4]) ქუმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიხვები არას დარდობენ,
ჯაჭვი სცვავ იმათ ციხესა.
იქ მისვლა არ შაიძლება—
გაგებული აქვთ ბიჭებსა.
ტყეში დასდევენ ნადირსა,
მოვლიან კიდით-კიდესა.
ჰა, ჰხედავთ ქირსვლაც დაიწყო,
თითქო ფქვილს ვინმე სცრიდესა!
მანანასავით თავს დაგვდის,
აშლის დერეფნის ფიცრებსა...
ეგ არი დადგა ზამთარი,
დადგა უმსგავსი ჟამია,
შეშა უმატეთ კერასა,
რაც გაქვს, დაჯე და ჭამია!..
არაფერი გაქვს?.. ითმინე! .
დღეც საწყლისათვის ღამეა.
ზაფხულიც ზამთრობს იმისთვის,
ზამთარი შხამზე შხამია.
ინატრე, რაც შეგიძლიან,
ქვეყნად რაც კარგი რამეა—
ზამთარი გაძლევსთ ნებასა—
საკმაო დრო და ხანია!

ვაჟაფშავლა



ეროვნული ბიბლიოთეკა

საოცარი მკურნალი

კუპრინისა

(უძღვნი ექიმს გრ. მაღალაშვილს)

(დასასრული)

ვამოვიდა თუ არა ქუჩაში, უაზროდ გასწია წინ. არაფრის იმედი აღარა ჰქონდა. უკვე კარგა ხანია, რაც გამოიარა სილარიბის ის მწვავე დრო, როცა ოცნებობ ქუჩაში იპოვო ფულით სავსე ქისა ან ვინმე შორეულ და უცნობ ბიძისაგან მოულოდნელად მიიღო სამკვიდრო. ახლა თავ-აშვებულმა სურვილმა შეიპყრო გაქცეულიყო სადმე, გაქცეულიყო ისე შორს, რომ აღარ ენახა დამშეულ ოჯახის მდუმარე სასოწარკვეთილება. მოწყალება ეთხოვა? დღეს ეს საშუალება უკვე ორჯერა სცადა. მაგრამ პირველად ვილაც ვაჟბატონმა, რომელიც ენოტის ქურქში იყო ჩახვეული, დარიგება წაუკითხა,—უნდა მუშაობდე და არა მათხოვრობდეო; მეორეჯერ კი პოლიციაში გასტუმრებას დაჰპირდნენ.

თავისდა შეუმჩნევლად გაჩნდა მერცალოვი შუაგულ ქალაქში, დაბურულ საზოგადო ბაღის ზღუდესთან. რადგან სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმართში მოუხდა სიარული, ახლა ძალზე უცემდა გული და დაღლილობაც იგრძნო. უნებურად შეუხვია ბაღის კარებში, გაიარა თოვლით დაფარული ცაცხვების გრძელი ხეივანი და ბაღის ერთ დაბალ სკამზე დაეშო.

აქ რაღაც სიმშვიდე და მყუდროება სუფევდა. თეთრ სამოსელში გამოხვეული, დიდებულად ამართული ხეები უძრავად სთვლემდნენ. ხან და ხან კენწეროდან მოსხლტებოდა ერთი ბღუჯა თოვლი და მოისმოდა, როგორ სრიალ-სრიალით ეცემოდა ერთის ტოტიდან მეორეზე. ბაღში გამეფებულმა ამ აღუშფოთველმა სიწყნარემ და მყუდროებამ უცებ მერცალოვის დატანჯულ სულში გააღვიძა ასეთივე სიმშვიდე-სიწყნარის დაუშრეტელი წყურვილი.

„აი, უნდა დაწვე და დაიძინო! — ფიქრობდა საცოდავი, — და დაივიწყო ცოლი, მშიერი შვილები, ავადმყოფი მაშუტკა!“ მერცალოვმა ჩაიყო ხელი ჟილეტის ქვეშ და გასინჯა საკმაოდ სხვილი თოკი, რომელიც ქამრის მაგიერობას უწევდა. თავის მოკვლის აზრი სრულიად ცხადად გამოისახა მის გონებაში. მაგრამ ამ აზრმა სრულებითაც არ შეჰზარა. ერთის წუთითაც არ შემკრთალა „გამოუცნობელის“ წყვდიადის წინაშე.

— „ნელ-ნელა დაღუპვას მირჩევნია ისევ მოკლე გზა ავირჩიო.“ ის იყო კიდეც უნდა ამდგარიყო ზეზე, რათა სისრულეში მოეყვანა თავისი საშინელი განზრახვა, რომ ხეივნის ბოლოდან მის ყურამდე მიაღწია ფეხის ხმამ, რაიცა მკაფიოდ გაისმა გაყინულ ჰაერში. მერცალოვმა გაბრაზებით გაიხედა იმ მხარეს, ხეივანში ვილაც მოდიოდა. ჯერ მოსჩანდა მხოლოდ მოკიდებულ სიგარის ცეცხლი, რომელიც ხან გამოანათებდა და ხან ჩაქრებოდა. შემდეგ მერცალოვმა ცოტ-ცოტად გაარჩია პატარა ტანის მოხუცი კაცი, რომელსაც თბილი ქუდი ეხურა, ბეწვიანი პალტო ეცვა და მაღალ ყელიანი კალოშები ჰქონდა. როცა დაუპირდაპირდა სკამს, უც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობმა უცბად გადმოუხვია მერცალოვის მხარეს, ხელ-ში ... ნავ წაივლო ქუდზე და იკითხა:

— ნებას მომცემთ, აქ ჩამოვჯდე?

მერცალოვმა უცნობს განზრახ ზურგი შეაქცია მოუ-რიდებლად და სკამის ბოლოსაკენ გაიწია. ხუთის წუთის გან-მავლობაში ორივენი სდუმდნენ. უცნობი სიგარას ეწეოდა და თან (მერცალოვი ამასა ჰგრძნობდა) ცალი თვალით თა-ვის მეზობელს ათვალიერებდა.

— მეტად საუცხოვო ღამეა, —უცებ დაილაპარაკა უც-ნობმა.—ჰაინავს... მყუდროებაა. რა მშვენიერებაა რუსული ზამთარი!

ეს ხმა იყო რბილი, მოალერსე, მოხუცისა. მერცალოვი სდუმდა, პირს არ იბრუნებდა.

— მე კი, აი, ჩემს ნაცნობ პატარეებს საჩუქრები უყი-დე, —განაგრძობდა უცნობი (ხელში რამდენიმე შეკვრა ეჭირა) და გზად მიმავალს გულმა აღარ გამიძლო, შემოუხვიე, რომ ბალზე გამომევლო. ოჰ, მეტად კარგია აქა.

მერცალოვი საზოგადოდ მორიდებული და ძორცხვი კა-ცი იყო, მაგრამ უცნობის უკანასკნელ სიტყვებზე უცბად საშინელმა სიბრაზემ შეიპყრო. მერცალოვი სასტიკის მოძრა-ობით მოტრიალდა მოხუცის მხარეს და სულ-შეგუბებულმა ხელების უაზრო ქნევით დაიყვირა:

— საჩუქრები, საჩუქრები! ნაცნობ პატარეებს საჩუქ-რეები! მე კი... ჩემს ბავშვებს, მოწყალეო ხელმწიფევ, ამ წუთას შინ შიმშილისაგან სული სძვრებათ... საჩუქრები! ჩემ ცოლს კი ძუძუ გაუშრა და ქორფა ბავშვი მთელი დღეა უჭ-მელია... საჩუქრები!..

მერცალოვს ეგონა, ამ უთავბოლო, გაბოროტებულ ყვი-რილზე მოხუცი ადგება და წავა, მაგრამ შესცდა. მოხუც-მა მიუახლოვა თავისი ჭკვიანი, დაფიქრებული სახე ჭაღარა ბაკებით, და მეგობრულად, მაგრამ მტკიცე კილოთი უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოითმინეთ.. ნუ ჭლელავთ' მიამბეთ ყველაფერი ლაგებით და, რაც შეიძლება, მოკლედ. იქნებ ერთად მოვიფიქროთ რამე თქვენთვის...

უცნობის არა ჩვეულებრივ გამოხედვაში იმდენი სიწყნარე და ნდობის აღმძვრელი რამ იფარებოდა, რომ მერცალოვმა მაშინვე დაუფარავად, მაგრამ საშინელის მღელვარებითა და აჩქარებით უამბო თავისი გაჭირვება. უამბო თავისი ავადმყოფობა, ადგილის დაკარგვა, ბავშვის სიკვდილი, ყველა თავისი უბედურება, რაც კი დღევანდლამდე შეემთხვა. უცნობი უსმენდა, ერთი სიტყვითაც არ აწყვეტინებდა, მხოლოდ უფრო გამომცდელის თვალით აშტერდებოდა თვალებში, თითქოს უნდა ძირამდე ჩასწვდეს მის გატანჯულ და აღშფოთებულ სულის სიღრმესაო. უცებ ჯაბუკურის სიმარდით წამოდგა და მერცალოვს ხელი სტაცა ხელში. მერცალოვიც გონება დაუტანებლივ წამოდგა.

— წავიდეთ!—სთქვა უცნობმა და თან ხელით ეწეოდა მერცალოვს.—წავიდეთ ჩქარა. თქვენი ბედი, რომ მკურნალს შეხვდით. მე, რასაკვირველია, არაფრის თავდებობა არ შემიძლიან, მაგრამ... წავიდეთ!

ათის წუთის შემდეგ მერცალოვი და მკურნალი უკვე ჩადიოდნენ სარდაფში. ელიზავეტა ივანოვნა ლოგინში იწვა, ავადმყოფ გოგონას გვერდით. სახე ჭუჭყიან, გაქონილ ბალიშში ჰქონდა წაყოფილი. პატარა ბიჭები იმავე ადგილას ისხდნენ და ბორშჩსა ჰხვრეპავდნენ. შეშინებულნი მამის დიდის ხნის მოუსვლელობითა და დედის უძრავად წოლითა, ისინი ტიროდნენ, ცრემლებს სახეზე ითხუპნიდნენ ჭუჭყიანის ხელებით და თანაც უხვად აფრქვევდნენ გამჭვარტლულ ქვაბში. ოთახში შემოსვლისას მკურნალმა გაიხადა პალტო და ძველის მოდის, საკმაოდ ნახმარ სერთუკით—მიუახლოვდა ელიზავეტა ივანოვნას. დედაკაცმა მკურნალის მიახლოვებაზე თავიც არ აიღო მაღლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგია, კმარა, კმარა, შვილო, — დაილაპარაკა მკურ-ნალმა და თან ქალს ალერსიანად შეახო ხელი. ადექით, მა-ჩვენეთ თქვენი ავადმოფი.

და, როგორც ამ რამდენისამე წუთის წინად ბალში, „რა-ღაც“ ალერსიანმა და გულს ჩამწვდენმა, რაიცა მის ხმაში ისმოდა, დაიმორჩილა მერცალოვი, ისე ახლა აიძულა ელი-ზავეტა ივანოვნა იმ წუთშივე ამდგარიყო ლოგინიდან და სიტყვის შეუბრუნებლად აესრულებინა ყოველივე, რასაც მკურნალი ეუბნებოდა. ორის წუთის შემდეგ გრიშა უკვე ფეჩს ახურებდა იმ შეშით, რომელიც საოცარმა მკურნალმა მეზობ-ლისგან მოატანინა, ვალოდია გამალებული უბერავდა სამო-ვარს. ელიზავეტა ივანოვნა კომპრესს უკეთებდა მაშუტკას... ცოტა ხნის შემდეგ მერცალოვიც მოვიდა. ექიმისაგან მი-ცემულ სამის მანეთით ამასობაში უკვე იყიდა ჩაი, შაქარი, ბულკები და მახლობელ ტრაქტირშიაც ცხელი საჭმელი იშო-ვნა. მკურნალი იჯდა სტოლთან და რაღაცას სწერდა ქაღალ-დის ნაჭერზე, რომელიც თავის უბის წიგნაკიდან ამოჰგლი-ჯა. გაათავა წერა და ბოლოშიაც, სახელის და გვარის მო-წერის ნაცვლად, რაღაც თავისებური რკალი მოუსვა, დაწე-რილს ჩაის ლამბაქი დააფარა და ზეზე წამომდგარმა სთქვა:

— აი, ამ ქაღალდს მიუტანთ აფთიაქში... ორ საათში ერთხელ აძლიეთ თითო ჩაის კოვზი. ეს პატარას ნახველის ამოღებას შეაძლებინებს... კომპრესის კეთებაც განაგრძეთ... გარდა ამისა, თქვენი გოგონა თუხდაც უკეთ გახდეს, ხვალ მაინც მოიწვიეთ მკურნალი აფრასიმოვი. მცოდნე მკურნა-ლია და კარგი კაციც არის. წინდაწინ შევატყობინებ ყვე-ლაფერს. ეხლა კი მშვიდობით, ბატონებო! ღმერთმა ინებოს, რომ მომავალი ახალი წელიწადი ძველზე უფრო ღმობიერად მოგეპყრათ და—რაც უფრო კიდევ უპირველესია—არასო-დეს არ დაეცეთ სულით.

მერცალოვი და ელიზავეტა ივანოვნა ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყვნენ გაოცებისაგან, რომ მკურნალმა ხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოართვა, გავლით ლოყაზე ხელი მოუცაცუნა ბარდალეგ-ბულ ვალოდიას, შემდეგ მარდად ჩაჰყო ფეხები მაღალ კალოშებში და პალტო ჩაიცვა. მერცალოვი მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა ექიმი უკვე ტალანში იყო გასული, და უკან დაედევნა მკურნალს. რადგან სიბნელეში არაფერი არა სჩანდა, მერცალოვმა ალალბედზე დაიყვირა:

— მკურნალო, მკურნალო! მოიცადეთ!.. მკურნალო, მითხარით თქვენი სახელი, რომ ჩემმა ბავშვებმა მაინც ილოცონ თქვენთვის! და ჰაერში აფათურებდა ხელებს, რომ დაეჭირა უხილავი მკურნალი. მაგრამ ამ დროს ტალანის მეორე ბოლოში მოისმა მოხუცის წყნარი ხმა:

— ეჰ, აბა, ეგ რა საჭიროა.. დაბრუნდით მალე სახლში.

როცა დაბრუნდა სახლში, მერცალოვს აქ დიდი სიამოვნება ელოდა: ჩაის ლამბაქ ქვეშ „საოცარ მკურნალს“ რეცეპტთან ერთად რამდენიმე მსხვილი ქაღალდის ფული დაედო...

იმავ საღამოს გაიგო მერცალოვმა თავის მოულოდნელ კეთილის მყოფელის გვარიც. წამლის შუშაზე მიბმულ აფთიაქის ქაღალდზედ გარკვეულის ხელით ეწერა: „პროფესორ პირაგოვის რეცეპტით.“

ეს ამბავი გამიგონია — და არა ერთხელ — თვითონ გრიგოლ ემელიანოვიჩ მერცალოვისაგან — იმ პატარა გრიშასაგან, რომელიც აქ მოთხრობილ შობის წინა ღამეს ცრემლებს აფრქვევდა ტყუილ ბორშჩიან გამურულ ქვაბში. ახლა გრიგოლს საკმაოდ დიდი და პასუხ-საგები ადგილი უჭირავს ერთ ერთს ბანკში და ცნობილია, როგორც მიტად პატიოსანი და გულშემატკივარი ღარიბთა და უქონელთა. და ყოველთვის, როცა კი ათავებს ხოლმე თავის მოთხრობას, გრიგოლი ცრემლებს ძლივს-ღა იმაგრებს და ათრთოლებულის ხმით დასძენს ხოლმე:

— იმ დღიდან თითქოს მფარველი ანგელოზი მოევლინა ჩვენს ოჯახს. ყველაფერი შეიცვალა. იანვრის დამდეგს მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამ ადგილი იშოვა, დედა ფეხზედ ადგა, მე და ჩემ ძმას მოგვიხერხეს გიმნაზიაში სახელმწიფო ხარჯზე მიბარება. ერთის სიტყვით, სასწაული მოახდინა ამ წმინდანმა ადამიანმა. ჩვენ კი მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ-ღა ვნახეთ ჩვენი „საოცარი მკურნალი,“—ეს იყო მაშინ, როცა იმის უსულო გვამს მიასვენებდნენ მის საკუთარ მამულში—ვიშნიაში. და მაშინაც ის არ გვინახავს, რადგანაც ის დიადი, მძლავრი და წმინდა, რაც სცოცხლობდა და ელვარებდა „საოცარ მკურნალის“ არსებაში სიცოცხლის დროს,—ის გაჰქრა სამარადისოდ.

განდეგილი



ედიტა და ქურდი



ინდა მოგახსენოთ, რომ უცნაური ბავშვი იყო ედიტა — ძალიან განსხვავებული, სრულებით არა ჰგავდა სხვა ბავშვებს. იყო სუსტი, ულონო, არ უყვარდა სირბილი, თამაშობა; იქნება იმიტომაც რომ არა ჰყავდა არც დები, არც ძმები და არც ტოლ-ამხანაგები, ხნიერ ქალს ჰგავდა; დეიდები ხუმრობით ბებრუცუნას ეძახდნენ.

ედიტას ძალიან უყვარდა წიგნები; ჯერ კიდევ სულ პაწაწკინა იყო, როცა ისწავლა კითხვა. სწორედ დაუჯერებელია, რა პატარა იყო, როცა პირველად წაიკითხა მთელი წიგნი.

იმის მამა თითონ სწერდა და გაზეთის გამომცემელი იყო; დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდა და აი იქ კითხულობდა ედიტა, შეიძლება, იმაზე მეტს, რაც მისთვის შესაფერი იყო. ედიტა სცხოვრობდა ლონდონში; იმისი ახალგაზდა ლამაზი დედა ძალიან იყო საზოგადოებაში გართული, მამას ბევრი საქმე ჰქონდა. მასწავლებელი ქალი მის ლენიკი მოდიოდა მარტო დილაობით; ამიტომ პატარა ქალი უმეტეს დროს მარტოდ ატარებდა; და რაკი მარტო იყო, თითქმის სულ ბიბლიოთეკაში იჯდა და მამის დიდ წიგნების და იმის გაზეთების კითხვაში იყო გართული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ძალიან მოსწონდა ედიტას: ძალიან ბევრ ამბებს ტყობულობდა, ბევრ იმისთანა რამეს ამოიკითხავდა, რაც ყოველ დღე ჰხდება იმავე ლონდონში და არა-სოდეს იმ ქუჩაზე, სადაც ედიტა სცხოვრობდა, მაგრამ მისდა შეუმჩნეველად. გაზეთებში ამოიკითხა, მაგალითად, რომ არის ისეთი ჯურის ხალხი, რომელთაც საკვირველი ხელობა აურჩევიათ: შეიპარებიან სხვის სახლში ღამით და იპარავენ ძვირფას ნივთებს; ამისთანა ხალხს გაზეთში ქურდებს ეძახდნენ.

ედიტამ რომ პირველად წაიკითხა ამ ქურდების ამბავი, ძალიან შესწუხდა და დაღონდა.

ერთი, რომ ახლა ეშინოდა საღამოობით მარტო ოთახში დარჩენა; მეორე—ძალიან ებრალებოდა ქურდები: ნუ თუ მეტი არაფრის გაკეთება არ შეუძლიანთ? ქურდობა ხომ ძალიან ცუდი და საშიში ხელობაა.

ისე ხშირად ჯ იმდენს ფიქრობდა ქურდების შეახებ, რომ ბოლოს ველარ მოითმინა ჯ გადასწყვიტა დაწვრილებით იმათი ამბავი მამისაგან გაეგო.

ერთ დილას, მამა საუზმეს მიირთმევდა და თან გაზეთსაც ათვალიერებდა, როდესაც ედიტა გამოელაპარაკა.

— ჩემო მამა,—დაიწყო დინჯად თავის პატარა ხმით და დინჯად შეჰხედა მამას თავის დიდრონ დაფიქრებულ თვალებით,—ჩემო მამა, მითხარი, გეთაყვანე, რას ფიქრობ ქურდებისას, რა „წოდების“ ხალხია ეგ ხალხი?

„რა წოდებისაო“ იმიტომა სთქვა, რომ წინად გაეგონა მამის ერთ ამხანაგისაგან, რომელიც ისე უყვარდა და მოსწონდა, რომ ცდილობდა იმისთვის წაებაძა ლაპარაკში.

მამა ოდნავ შეკრთა, თითქო ედიტამ გამოაღვიძაო. გადაიგდო შუბლიდან თმა და შეაშტერდა პატარა ქალს.

— ქურდებისას? რა „წოდებისანი“ არიან?—გაიმეორა ჩურჩულით და გაშტერებული უყურებდა პატარა ქალს.

— რა „წოდებისანი“ არიან, მეკითხები ნიკსი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკსის ეძახდნენ ედიტას, მამა და ყველა შინაურები.

— ნიკსი, დედა სად არის?

— დედას ჯერ კიდევ სძინავს, ჩემო მამა, გუშინ ძალიან გვიან დაბრუნდა შინ, დაქანცული, ახლა რომ მოვდიოდი, ჩუმად შევიხედე იმის საწოლ ოთახში: ისეთი კარგი, ისეთი ლამაზია მძინარე.—მაშ, მითხარი, მამიკო, რას ფიქრობ ქურდებისას?

— მე მგონია, რომ ეგ ძალიან ცუდი „წოდებაა", ნიკსი, ძალიან ცუდი!

— ნუ თუ არ არიან კეთილი ქურდები, მამა?

— კარგია, კმარა სისულელის ლაპარაკი, ნიკსი! რასაკვირველია არა!—უპასუხა მამამ და განაგრძო ღიმილით, როგორც ღიმებოდა ყველა, ვისაც კი ედიტა ეკითხებოდა რასმე და ისიც პასუხს აძლევდა:—ეს საზოგადო წესია, ნიკსი, ქურდები არასოდეს არ განირჩევიან თავის ზნეობრივ სიწმინდით და კარგის ყოფაქცევით.

მაგრამ ედიტამ ვერ გაიგო, რას ნიშნავდა „ზნეობრივი სიწმინდე" და იმავე დროს განაგრძობდა ხმა-მაღლა ფიქრს:

— აი, ამას წინად მის ლენი მიამბობდა, რომ არიან ისეთი ღარიბი ბავშვები, ისეთი უბედური... არავინ არას ასწავლის არც ფრანგულს, არც მუსიკას, კითხვაც კი არ იციან,—იცი, მამა,—არასოდეს არა ყოფილან „კარგ გარემოებაში" მის ლენმა სთქვა... და მე მგონია, ისინი გამოდიან ქურდები? იმიტომ რომ არა ყოფილან „კარგ გარემოებაში..." კარგ გარემოებაში რომ ყოფილიყვნენ შეიძლება არც გამხდარიყვნენ ქურდები. ხომ ასეა, მამა?

— ფრანგულ ენისა და მუსიკის სწავლა, რასაკვირველია, ანვითარებს და ამაღლებს გონებას. ეს უეჭველია, ძვირფასო ნიკსი,—უპასუხა ღიმილით და ხუმრობით მამამ, რაც ძალიან აკვირვებდა და სწყინდა ედიტას.

მაგრამ უცებ მამამ გადაავლო თავის ქალს დარდიანი თვალი და ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამდენის წლისა ხარ, ნიკსი?

— შვიდისა,—უპასუხა ედიტამ.—მერვეში გადავდექი.

მამამ ღმრად ამოიოხრა.

— მოდი ჩემთან, ჩემო პაწიავ,—უთხრა მამამ და გაუწოდა თავისი ლონიერი ხელი.

ედიტა წამოდგა და მივიდა მამასთან, მამამ მაგრა ჩაიკრა გულში და დაუწყო კოცნა და ალერსი.

— ნულარ იფიქრებ ქურდების შესახებ ნიკსი, ნუ აწვალებ შენს პატარა თავს ტყუილად.

— მეც მოხარული ვიქნები, რომ არ ვიფიქრო, მამიკო, მაგრამ არ შემიძლიან. ჩემი ფიქრი უნებურად ყოველ დღე იმათ დასტრიალებს ცოტ-ცოტათი... იცი მე რა მგონია? რომ ბოროტს ქურდებ შორის უეჭველად ერთი კეთილი ქურდი მაინც იქნება და აი ის მეცოდება ძალიან! ქურდებიც მებრალებიან! იმათ ხომ მთელი ღამეები არ სძინავთ, წვიმაში, სიცივეში სულ ქუჩაში ატარებენ თავის სიცოცხლეს, რადგან არ არიან „კარგ გარემოებაში...“

საკვირველი ის არის, რომ როცა ედიტა საუზმის შემდეგ შევიდა დედის ოთახში, იქაც ქურდების შესახებ გაიგონა ლაპარაკი.

ედიტას ძალიან უყვარდა თავისი ლამაზი დედა და ძალიანაც თავი მოსწონდა, რომ ასეთი დედა ჰყავდა. ცდილობდა მზრუნველობა რამ გამოეჩინა მისთვის, ემსახურნა, როგორც კი შეეძლო, თავისებურად, ბავშურად: არასოდეს არ აბეზრებდა თავს, არ უშლიდა ძილს, ეხმარებოდა ჩაცმაში, მოჰქონდა ჯ აწვდიდა მისთვის საჭირო ნივთებს, უკრავდა პატარა ფეხსაცმელების და ხელთათმანების ღილებს, ეჭირა ხელში და დაჰქონდა იმისი მოსასხამი, სანამ არ დასჭირდებოდა.

იმ დილით, როდესაც ედიტა შევიდა დედასთან, იქ იყო მოსამსახურე ქალი და რაღაცას აღელვებით უამბობდა ქალბატონს; საყვარელი დედა-კი იდგა იმის წინ გაფითრებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სულ მთლად გაცარცვეს, ქალბატონო, მთლად. დევ მადლობა ღმერთს, რომ ჩვენთან არ შემოვიდნენ,—ამბობდა მოსამსახურე.

— ვინა, ჟანეტა?—ჰკითხა ედიტამ.

— ქურდები, მის, რომელნიც წუხელ შეიპარნენ ჩვენ მეზობელ სახლში და გაიტანეს მთელი ვერცხლეულობა და ქალბატონის ბრილიანტები.

— თუ ოდესმე შემოიპარებიან ჩვენთან ქურდები,— მგონია ვერავინ ჩვენგანი ვერ შეიტყობს ამას,—სთქვა დედამ... თუმცა გული ძალიან დამწყდება, ჩემი ოქროს ნივთები რომ მომპარონ. რა საშინელება იქნება, უცებ რომ გამომეღვიძოს ღამე და ჩემს ოთახში ქურდები დავინახო! მგონია – იქვე მოკვდე შიშითა. უეჭველია, დავიწყებ ყვირილს და მაშინ, ვინ იცის, რას დამმართებენ ქურდები!.. იცოდე, ნიკსი, თუ ოდესმე მოგეჩვენოს, რომ ქურდი შემოიპარა ჩვენს სახლში, არ იყვირო და არ ასტეხო ხმაურობა. ყოველ შემთხვევაში სჯობს სულ გაგვქურდონ, ვიდრე დაგვხოცონ ყვირილისათვის.

ედიტამ შემოხვია ხელები წელზე და ალერსით უთხრა:

— ჩემო ძვირფასო დედა, არასოდეს, არასოდეს არ მივცემ ნებას ქურდებს შეგაწუხონ ან შეგაშინონ. ვეცდები როგორმე ჩავაგონო ქურდებს. დედიკო, რომ არ შეგაწუხონ. მე მგონია ქურდიც დაიჯერებს კეთილ რჩევას, ხომ, დედილო?

ამ სიტყვებმა დედა გააცინეს ისე, რომ სრულებით დაავიწყდა ქურდები და სახე ისევ გაუბრწყინდა. მალე სრულიად გამხიარულდა და დაიწყო მღერა ერთ-ერთ ოპერის ხმისა

სადილ წინად ედიტას მამა უეცრად დაბრუნდა რედაქციიდან. საჩქაროდ გადმოხტა ეტლიდან, სწრაფად აირბინა კიბე და შევიდა ცოლთან. ცოლი იჯდა სასტუმრო ოთახში და ედიტა ხმა-მაღლა უკითხავდა წიგნს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიტი, ჩემო სიცოცხლე,—უთხრა ცოლს,—აუცილებლად ეხლავ, ხუთი საათის მატარებლით უნდა წავიდე გლასგოში. ძლივს მოვასწრობ ტანისამოსის ჩალაგებას და სადგურზე მისვლას.

— ეჰ, ფრენსის, მეტად მწყინს ახლა შენი წასვლა—წამოიძახა დედამ,—სწორედ მაშინ მიდიხარ, როცა ჩვენი მეზობელი ნორისი გაქურდეს! ძალიან მეშინიან მარტო დარჩენა.

— რისა გეშინიან? მოსამსახურეები ხომ შინ იქნებიან. ნიკსიც შენთან დაიძინებს. ეს ხომ ყოჩაღია და კარგად მოუვლის თავის დედას. ხომ, ნიკსი? მაგას კიდეც გაუხარდება ქურდის გაცნობა.

— რასაკვირველია, ნიკსის იმედი უფრო უნდა მქონდეს, ვიდრე მოსამსახურეებისა. სამივე დედაკაცს თავიანთ ოთახში ისე სძინავთ, როგორც მკვდრებს და, აბა, ისინი რას გაიგებენ? რო გაიგონ კიდეც, მორთავენ ყვირილს და ვერაფერს მიშველიან!

— ნიკსი კი არ იყვირებს,—სთქვა სიცილით მამამ. ნიკსი რაინდივით მოიქცევა. ჩამიბარებიხარ იმისთვის.

მამა, როგორც ყოველთვის, ხუმრობდა, ედიტამ კი ეს სიტყვები ხუმრობად არ ჩასთვალა, ბავშვი გრძნობდა, რომ დედა მართლა იმასა ყავს ჩაბარებული და რომ ეს საქმე სახუმრო არ არის. ამან ისე ჩააფიქრა ბავშვი, რომ სადილზე ხმა არ ამოუღია; ნასადილევსაც კი ისე ჩუმად იჯდა, რომ დედამ ჰკითხა:

— რა დაგემართა, ნიკსი? რას ჩაფიქრებულხარ ეგრე? გაჩუმებულხარ, თითქო პირში წყალი გაქვს დაგუბებულიო და ზიხარ გამოჭიმული, როგორც პატარა დედოფალა.

— მე სულ შენზედ ვფიქრობ, დედა.

დედამ გაიცინა და აკოცა.

— ჩემზე რა უნდა იფიქრო ისეთი? არ მოველოდი სწორედ, რომ გავხდებოდი საგანი შენის მძიმე ფიქრებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძილის დრო მოვიდა და ბავშვი შევიდა დედის ოთახში დასაძინებლად.

— იცი, რაც უნდა იყოს, ძალიან მოხარული ვარ, ნიკსი, რომ ჩემთან იქნები—უთხრა დედამ სიცილით. მართლა შემეშინდებოდა მარტოს ძილი ამოდენა ოთახში.

ცხადი იყო, დედას ცოტათი ეშინოდა, მაგრამ, როცა ჩაწვა თავის რბილ ლოგინში, მალე დაეძინა და ისეთი დამშვიდებული, ბედნიერი, მშვენიერი იყო, სახე ისეთი ლამაზი ჰქონდა, რომ ედიტამ თვალი ვერ მოაშორა.

ეკ. ლორთქიფანიძისა

(დასასრული იქნება)



დავით ეგრაელთა მეფე

და სოლომონ გრძელი

ეთხუთმეტე წელიწადი მიდიოდა დავითის მეფობისა. საშინელი ცივი ზამთარი იყო, მდინარენი მთლად გაიყინა. ამ დროს იერუსალიმის ტაძართან ორ ყმაწვილ კაცს გაცხარებული ბაასი ჰქონდათ. ლაპარაკობდნენ თავმოყვარეობასა და სახელის შეძენის შესახებ. სახელის გულისათვის ზოგიერთი ახირებულ საქციელსა კადრულობსო.

— სახელსა და პატივმოყვარეობაზე უმაღლესი აღარა მიგაჩნია-რა ქვეყნად, მაგრამ კარგად რომ ჩაუფიქრდეთ, ყოველივე დიდება ქაფიან არაყსა ჰგავს, რომელიც ადვილად ამოჰქრება ხოლმე ჭურჭლიდანაო, — უმტკიცებდა ამმონი მეორე ყმაწვილ კაცს.

— დეე, ამოჰქრესო, — ეწინააღმდეგებოდა აბიათარი: — სამაგიეროდ ეგ არაყი ათრობს ადამიანს. ვინც რა უნდა სთქვას, მე კი ძალიან მომწონს, როცა ქვეყანა ჩემზე ლაპარაკობს... სახელის გულისათვის თუნდა სილოამის საბანელშიაც ჩავხტები ამ ცივ ზამთარში!

— ჩახტომა ადვილია, შენ ისა სთქვი, რამდენ ხანს შეგიძლია იქ გაჩერებაო, — დაეკითხა ამმონი.

— თუნდა ერთ საათსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთ საათს? — გაიმეორა ამმონმა დაცინვით.

— დიალ, ერთ საათს! რას იცინი?

— მაშ, აი მოწმენი და, თუ შენ იქ ერთ საათს გასძლებ, ას ოქროს ბეჭედზე დაგენაძლევები.

ცნობის-მოყვარე და ყოველ გვარ გართობის მოტრფიალე ხალხს თავი მოეყარა და ყურს უგდებდა ყმაწვილებს.

— მოწამე იყავით, ხალხნო, რომ თანახმა ვარ სანაძლეოზე! — დაიძახა აბიათარმა.

დანიშნეს დრო და ხალხი დაიშალა.

აბიათარის დედამ რომ ამ უგუნურ სანაძლეოს ამბავი გაიგო, შვილს ტირილით ხვეწნა დაუწყო, თავი დაენებებინა ამ სახიფათო საქციელისთვის, მაგრამ აბიათარი თავის სიტყვას ალარ გადადიოდა.

მეორე დილით მივიდა აბიათარი დანიშნულს ადგილს, სადაც ხალხი უკვე შეგროვილიყო სეირის საყურებლად. ამმონიც მივიდა.

— როგორა ხარ პირობაზე, აბიათარ! გაქრა გუშინდელი შენი ტრაბახობა, თუ ჯერ არა?

აბიათარმა თავგამოდებით გაიხადა ტანისამოსი, გადაყარა აქეთ-იქით, იშვირა ფეხი, ჩახტა ამომტვრეულ ყინულიდან და ყელამდი ჩაიმალა წყალში. მოისმა მაყურებლების წივილ-კივილის ხმა და ამ ხმაურობას დედის მწარე ქვითინი შეერია. დედას მოეტანა ზეწრები და საბნები, დაანთო შორი ახლოს ცეცხლი, რომ ერთის საათის შემდეგ გაეხვია შვილი თბილ საბნებში და მოეთბო ცეცხლა პირას.

დრო ნელა მიდიოდა. დედას ცრემლებით ავსილი თვალები გალურჯებულ შვილისაკენ მიეპყრო და არ აშორებდა... მძაფრმა ყინვამ აბიათარს ძვალსა და რბილში დაუარა და კბილი კბილს აცემინებდა. შესწუხდა საშინლად ყმაწვილი. რამდენჯერმე დაყვირებაც დააპირა საშველად, მაგრამ ის ფიქრი, რომ ხვალიდან მთელ ქალაქს იმის სიმამაცეზე ექნებოდა ლაპარაკი პარში ბურთსა სჩრიდა... გავიდა ბოლოს დანიშნუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი დრო. თბილ საბნებში გახვეულ და ცეცხლაპირას მიწყვნილ, გაყინულ-გათოშილ აბიათარს დედის მზრუნველობითა და მეცადინეობით ძლივს დაუბრუნდა სიცოცხლე, —მოჰკრა თვალი ამმონს და კრიჭა შეკრულმა ძლივს წაილუღლუღა. „მიჯობნიაო“.

ამმონი სანაძლეოს მიცემაზე უარს ამბობდა: „სამართალში დაგიმტკიცებ, რომ სანაძლეო არ წამიგიაო“, ეუბნებოდა. წარდგნენ სამართლისათვის დავით მეფესთან.

მეფე იჯდა ძვირფასად მორთულ დარბაზში სპილოს ძვლების ტახტზე; მარჯვნივ თავისი შვილი სოლომონი მოესვა, მარცხნივ—წინასწარმეტყველი ნათანი და თავს დარაჯად შეიარაღებულნი ლევიტელნი და მეფის რწმუნებულნი ადგნენ.

— აბა, მოჰყევით, როგორ იყო საქმე?—ჰკითხა მეფემ მომჩივრებს.

აბიათარმა მოახსენა დაწვრილებით საქმის ვითარება.

— სრული სინამდვილე მოგახსენათ აბიათარმა, მაგრამ გასინჯეთ, დიდებულო მეფეო, რად უნდა გადამხდეს სანაძლეო, რომლის მოგებაშიაც მაგას დედა შველოდა.

— როგორ თუ დედა მშველოდა?!—შესძახა განცვიფრებით აბიათარმა.

— დედა შენი არ იყოს, რომ ცეცხლი დაგინთო და იმისმა ალმა გაყინულ წყალს ყუჩი მოსტეხა?

ამ პასუხზე აბიათარს გაეცინა.

— გასინჯეთ, მეფეო, შეეძლო ვინმეს ერთ საათს გაეძლო გაყინულ მდინარეში ამ საშინელ ზამთარს, თუ რომ მახლობლად ცეცხლი არ ნთებულიყო და იმის ალს სითბო არ მიეცა?—მოახსენა ამმონმა.

— მართალი ხარ! გადასწყვიტა მეფემ და მიუბრუნდა აბიათარს:

— შენ კი დედა შენს დააბრალე, რომ ოქროს ბეჭდებს ველარ მიიღებ!.. აბიათარმა თავი ჩაღუნა და გამოვიდა. ამმონმა კი ქება-დიდება შეასხა მეფეს და მის სიბრძნე-ჭკვიერება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ღალადებდა... მხოლოდ სოლომონმა, ძემ ბერსაბეესამ, კვირვებით გადაჰხედა მამას და თავი გაიქნია.

სოლომონი იმ ჟამად იყო რვა წლისა.

იმ ხანებში მეფემ დიდი ნადიმი გამართა და წარჩინებულნი მიიწვია. შეუდგა მზარეულთ უხუცესი სანაქებო საჭმელების კეთებას თავის გამოსაჩენად და მეფის სასახელოდ. ვინ ჩამოსთვლის, რამდენ ნაირი საჭმელები მზადდებოდა: უამრავი უმი ხორაგეულობა ეწყო სამზარეულოში და ელოდა ღუმელში შეწყობის დროს. სხვადასხვა ყალიბის ქვაბები, ქოთნები, ტაფები და პინები ყელმოღერებული ჩარაზმულიყვნენ და მხიარულად გაღუდღუდებულ ღუმელს შესცქეროდნენ.

ამ დროს სამზარეულოში შევიდა სოლომონ.

— კიმორ, ყური მიგდე, რა გითხრა! — უბრძანა მეფის შვილმა მზარეულს: — შენ ხომ ყველაფერი უნდა აასრულო, რასაც მე გიბრძანებ? მართალია თუ არა?

— შევასრულებ, რასაც კი მიბრძანებ! — მიუგო მზარეულმა მოწიწებით.

— დღეს არც ერთი საჭმელი არამცა და არამც ცეცხლს არ მიაკარო: ღუმელის შორი-ახლო დააწყე, ორი წყრთის მანძილზე და ისე იყოს. ეს არის ჩემი ბრძანება!

— ამსრულებელი ვარ შენის ბრძანებისა, — უპასუხა მზარეულმა და დიდის განცვიფრებით მიაპყრა თვალები ბავშვს.

საღამოს ჟამს მეფე დიდებულის სტუმრებით შემოუსხდნენ სუფრას. გაჩირაღდნებულ დარბაზს კაშკაში გაჰქონდა. ოქრო-ვერცხლეულობა და თვალ-მარგალიტი თვალებსა სჭრიდა სტუმრებს; გარშემო გუნდრუკის საამო სურნელება ტრიალებდა...

დაიწყეს საჭმელების ზიდვა და მირთმევა. საკრავების მხიარული ხმები გაჯიბრებით ერთმანეთში ირეოდა. უეცრად გაისმა დარბაზში მრისხანე ხმა მეფისა:

— გეფიცებით ამმონიტიანებს, რომლებიც არა ერთ გზის დამიმარცხებია, რომ დღეს ხორცეულობა სრულიად უმია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაჭაპურებს ცეცხლი არ მიჰკარებია!.. აქ მომგვარეთ ბრალეული!..

შემოიყვანეს კიმორი ორმა მხედარმა.

— უძლიერესო მეფევ, დამმარცხებელო გოლიათმა, ეს ჩემი ბრალი არ გახლავთ და ნუ შემრისხავთ! — მოახსენა მზარეულმა.

— მაშ, ვისი ბრალია, რომ ყველა საჭმელები უმია, როგორც ეს ხილეულობა, რომლებიც წინ გვიწყვია.

— მეფეო! მე ეგ მოვიქმედე თანხმად ბრძანებისა..

— რომელი ბრძანებისა? ვინ გაბედა ამ გვარი უგუნური ბრძანება?!

— შენმა შვილმა... სოლომონმა...

— როგორ თუ სოლომონმა! შეჰყვირა მეფემ: აქ მომგვარეთ ამ წამსვე! შემოვიდა სოლომონი მხიარულის სახით და ცბიერის ღიმილით შეჰხედა მამას.

— მართალია, მამაჩემო. კიმორი ჩემის ბრძანებით მოქმედებდაო! უთხრა მან გაბედვით.

— რამ გაფიქრებინა მერე ასეთი ბრძანება! ჰკითხა წყენით მამამ. ბავშვი ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე დინჯად მიუგო:

— მე მეგონა, რომ თუ კი ცეცხლი რამდენისამე ნაბიჯის მანძილზე სილოამის საბანაოს გაათბობს, საჭმელების შეწვა-მოხარშვასაც შეიძლებდა ორის ნაბიჯის სიახლოვეს!.. ახლა ვატყობ, რომ შევსცდი, მაგრამ ვის შეუძლია თავი შეუცდომელად ჩასთვალოს!..

მეფეს გაჯავრებულ სახეზე მხიარულმა ღიმილმა გადაუთამაშა; მოეხვია შვილს, აკოცა შუბლზე და უთხრა:

— შენ ბრძენი ყოფილხარ, შვილო ჩემო!

მას დღეს აქეთ დაერქვა დავითის შვილს სოლომონ „ბრძენი.“

თეო კანდელაკი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილ-წერეთლისა

ჩვენს რიცხვ-მცირე მოღვაწეთა შორის ანასტასია მიხეილის ასულს თუმანიშვილი-წერეთლისას ფრიად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ვინც ჩვენის საზოგადოებრივ საქმეების განვითარებას თვალ-ყურს ადევნებდა ამ უკანასკნელ ოცის წლის განმავლობაში, იგი უთუოდ შეუმჩნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველად არ დასტოვებდა იმ ნაყოფიერ მოღვაწეობას, რომელ-
საც ასე უანგაროდ და თავდადებით ეწეოდა ანასტასია წერეთ-
ლისა.

წელს, სწორედ იანვარში სრული ოცდა ათი წელიწადი
შესრულდა, რაც ქ-ნი ანასტასია პირველად გამოვიდა სამოღვა-
წეო ასპარეზზედ. ამ ხნის განმავლობაში სიტყვით, საქმით,
მწერლობის საშუალებით დაუღალავად და უანგაროდ ემსა-
ხურებოდა ჩვენის ერის კეთილდღეობის საქმეს და მუდამ დღე
შეჰქონდა თავისი წვლილი იმ სალაროში, რომელსაც ქარ-
თველთ ერის გონებრივად წინმსვლელობის საქმეს ეძახიან.

ამიტომ „ნაკადული"-ს რედაქცია სასიამოვნო მოვა-
ლეობად სთვლის აუწყოს თავის პატარა მკითხველებს ცნო-
ბანი ამ ღირსეულ ადამიანის ვინაობისა და მოღვაწეობის შე-
სახებ.

ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა
დაიბადა ქ. ტფილისში 1867 წ. ანასტასიას მამა მიხეილ თუ-
მანიშვილი, თუმცა ტომით სომეხი იყო, მაგრამ, როგორც
საქართველოში დაბადებული და აღზრდილი, მუდამ ქართვე-
ლებში ტრიალებდა და კიდეც ამიტომ მისი ოჯახი ქართვე-
ლის ოჯახისაგან არაფრით არ განირჩეოდა. პირიქით, მიხეილ
თუმანიშვილი სულით და გულით ქართველი იყო, კარგი
მცოდნე ქართულის ენისა, ქართულს მწერლობაშიაც მონა-
წილეობას იღებდა და ყველა თავის შვილებს გულში უნერ-
გავდა ქართველ ერის სიყვარულისა და პატივისცემის გრძნო-
ბას. მშობლებმა ანასტასია ძლიერ ადრე მიაბარეს ტფილისის
საქალებო ინსტიტუტში, საცა კურსი დაამთავრა ჯერ კიდევ
თხუთმეტის წლის ახალგაზდა ქალმა. ინსტიტუტში იმ
დროს, თუმცა ქართულ ენას ასწავლიდნენ, მაგრამ ამ საგნის
სწავლება ძლიერ კოჭლობდა, ასე რომ ქ-ნმა ანასტასიამ ქარ-
თული ენის ცოდნა და სიყვარული შეიძინა მხოლოდ მშობ-
ლების ოჯახში.

მიხეილ თუმანიშვილის ოჯახში, განსაკუთრებით 1876 წლი-
დან, როცა ქ-ნ ანასტასიას ძმა გიორგი თუმანიშვილი დაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნდა პეტერბურგიდან კურს დამთავრებული, მრავალ-ჟამ-თველი მოღვაწე იკრიბებოდა, ბჭობდა და ბაასობდა ჩვენის საზოგადო საქმეების შესახებ. ახლად კურს-დამთავრებული ანასტასია დიდის ცნობის მოყვარულობით ადევნებდა თვალ-ყურს ასეთს ბაასს და დაახლოვებით გაიცნო ყველა ჩვენი მოღვაწე და ჩვენი საზოგადო საქმე.

ქ-ნ ეკატერინე გრიგოლის ასულის მესხის შემწეობით ანასტასია დაუახლოვდა „დროების" რედაქციას და ახლო გაიცნო ამ გაზეთის მაშინდელი რედაქტორი განსვენებული სერგეი მესხი. „დროებაში" ქ-ნი ანასტასია დრო გამოშვებით ათავსებდა ორიგინალურს და ნათარგმნ მოთხრობებს.

ანასტასია წერეთლისას მარტოოდენ სამწერლო ასპარეზით არ შემოუფარგლავს თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობა; ყველგან, საცა ქართულ საზოგადო საქმის საძირკველსა ჰყრიდნენ, იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა და თავისი დაუღალავის შრომით და მხნეობით საქმის მკვიდრ ნიადაგზე დამყარებას ხელს უწყობდა.

1884 წ. ქ-ნი ანასტასია არჩეულ იქმნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წევრად. მხნედ და უანგაროდ ემსახურა ამ მეტად დიდ მნიშვნელოვან ქართულ საეროვნო საქმეს თორმეტის წლის განმავლობაში. ქ-ნ ანასტასიას მეცადინეობით და თაოსნობით წერა-კითხვის საზოგადოებამ 1886 წელ. გორის მიზრაში, სოფ. ხელთუბანში, დააარსა პირველ-დაწყებითი სკოლა. საზოგადოების გამგეობამ ანასტასიას ჩააბარა ტფილისის ქართულ ბიბლიოთეკების მართვა-გამგებლობაც, რასაც დღესაც მხნედ და დაუღალავად ეწევა ჩვენი პატივცემული მოღვაწე.

ანასტასიას მეცადინეობით და თაოსნობით ტფილისში დაარსდა ეგრედ წოდებული „მასწავლებელ ქალთა საზოგადოება" რომლის თავმჯდომარედ დღესაც ქ-ნი ანასტასია ითვლება. ამ საზოგადოებას თავის დროზედ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ ქალთა მასწავლებლებისათვისაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენის მოღვაწის თაოსნობით ტფილისში დაარსდა აგრედვე „ყაზბეგის სკოლა," საცა ყველა საგნის სწავლება სწარმოებდა ქართულადა. ამ სკოლის არსებობის დაცვას ანასტასიამ დიდი შრომა და ენერგია მოანდომა. მალე სკოლა გაუქმებულ იქმნა მთავრობის მიერ. ანასტასიამ შეადგინა „განათლების" სახელით საზოგადოება, რომელმაც, ყაზბეგის სკოლის ნაცვლად, დააფუძნა ოთხ კლასიანი საქალებო პროგიმნაზია, საცა ქართულ ენას ფრიად საპატიო ადგილი აქვს დათმობილი.

1890 წლიდან ანასტასია წერეთლისამ მოჰკიდა ხელი საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის" ბეჭდვას. საზოგადოდ საყმაწვილო ჟურნალის მართვა-გამგებლობა მეტად მძიმე საქმეა და განსაკუთრებით კი ჩვენში, საცა მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზი უშლის ხელს ამ მეტად დიდ მნიშვნელოვან საქმის ნაყოფიერად წარმართვას. თუმცა ეს ასე იყო, ანასტასია მაინც მთელის ოცის წლის განმავლობაში მხნედ და უანგაროდ ემსახურება მოზარდ ახალ თაობის გონებრივ განვითარების საქმეს. „ჯეჯილში" მან მოაგროვა იმოდენი საგულისხმიერო მასალა, რომ მომავალი ახალი თაობა ყოველთვის მადლობით მოიხსენიებს ჩვენს უანგარო მოღვაწეს, რომლის მადლიანი ხელი ასეთის მზრუნველობით თავს დასტრიალებდა ჩვენს ნორჩსა და ჯერ ღარიბ საყმაწვილო ლიტერატურას. ამ ჟამად კი საზოგადოებამ, ნიშნად პატივისცემისა, უყურადღებოდ ვერ დასტოვა ქ-ნ ანასტასია მიხეილის ასულის თუმანიშვილი-წერეთლის ასეთი ხანგრძლივი მოღვაწეობა და 14 იანვარს გამართა დღესასწაული ქართულ თეატრში, საცა დაახლოვებით აღნიშნულ იქმნა ის დიდი დამსახურება, რომელიც ქ-ნ ანასტასიას მიუძღვის მოზარდ ახალთაობის გონებრივ განვითარების საქმეში.

ა. მიქაბერიძე

ფუტკარი და მისი ცხოვრება

წერილი მერვე

(უძღვნი ბუტკუნჩელა გოგი ვარლამის-ძეს ჭიჭინაძეს).

(შემდეგი)

მე სულ სხვა ვარ, სულ სხვა მუშა
და სხვა გვარად მოღვაწეო:
ზეცის მუშას მეძახიან,
არ ვ:რ მარტო სამიწეო. აკაკი.

მართვი — ნაყარი

ემო მეგობრებო!

იმედია, არ დამძრახავთ; ცოტა არ იყოს, გავაჭიანურეთ ფუტკარი და მისი ცხოვრება. ძველი წლიდგან ახალში გადმოვიტანეთ ჩვენი საუბარი, მაგრამ, ვფიქრობ, ამ ახალმა წელმა უფრო შეგაყვარათ კიდეც ფუტკარი. ის ტკბილი გოზინაყი, რომლითაც დედამ ახალ წელს დაგაბერათ, თქვენც კარგად იცით, თაფლისგან იყო მომზადებული—თაფლს-კი ფუტკრები ამზადებენ. დედამ გისურვათ გოზინაყივით ტკბილად დაბერება. ვეთანხმები დედა თქვენს. მეც გაბერებთ ამ ნაახალწლევს ჩემის საუბრით და გისურვებთ—თქვენი ცხოვრება ყოფილიყოს თაფლივით ტკბილი, თქვენ თვითონ - მუშა ფუტკარივით ბეჯითი, მშრომელი, მხნე, გამრჯელი და მომჭირნე, დამზოგველი. თქვენი შრომა ყოფილიყოს ნაყოფიერი ისე, როგორც დედა ფუტკარია ნაყოფიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწ კი შეუდგეთ საქმეს. ხომ გახსოვთ, ცაცხვის ტოტზე მართვი არის მიყრილი: თუ დროზე არ მივხედეთ და ჩვენს ნებაზე სკაში არ დავაბინავეთ, ბევრს არ მოგვიცდის იქა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ყრა დააპირეს, მაშინვე გაჰგზავნეს ტყისაკენ მზვერავი-შიკრიკი ფუტკრები ბინის მოსაძებნად. მზვერავები გაფაციცებით ეძებენ ტყეში ფულუროებიან ხეს, კლდეში—მშრალ ნაპრალს, ან ძველ ეკლესიის ან სახლის ორმაგ კედლებს, ან ჭერ ქვეშ. ოლონდ კი იპოვნონ მშრალი და მყუდრო ადგილი და მერე თვითონ იციან, როგორ მოეწყონ. როცა ასეთ შესაფერ საბინადრო ადგილს იპოვნიან მზვერავი-მაძებრები, იმ ადგილს დაინიშვნენ, მერმე მოვლენ თავიანთ დობილებთან, წინ გაუძღვებიან და დანიშნულ ადგილას მიიყვანენ. მშვიდობით მერმე! მართვი დაგვეკარგება, ნაყარი იცხოვრებს ტყეში და ხელიდან წაგვივა ტკბილის თაფლისა და წმინდა სანთლის მომცემი.

ამისთვის არის, რომ მეფუტკრე ჩქარობს, ადრე დაბინავოს ნაყარი.

პირველად ნაყარს აპკურებს წმინდა წყალს; ცივი წყალი ფუტკარს ამშვიდებს კიდეც და თან ფრთების დასველება გაფრენის ხალისს უკარგავს. შემდეგ იღებს ამისთვის საგანგებო სამართვე კალათს. კარგია, თუ კალათს თაფლ წყალს გამოავლებს. საზოგადოდ ნაყარი იშვიათი მშვიდია. ძრიელ იშვიათ შემთხვევაში იკბინება, მაგრამ თუ მეფუტკრე დიდი გამოცდილი არ არის, სჯობს პირზე ბადე გაიკეთოს. სამართვეზე მეფუტკრეს პატარა გალია აქვს მიბმული. ეს გალია დედა ფუტკრის საპატიმროა. ასეთის ხელ საწყოთი მეფუტკრე ადის ხეზე, რომელზედაც მართვია და სიფრხილით ტოტიდგან ნაყარს ჰყრის სამართვეში. ის ამ დროს გულდადებით ათვალიერებს დედა ფუტკარს და, თუ შეხვდა, ნაზად, ისე რომ არა ავნოს რა, იჭერს და პატარა გალიაში აპატიმრებს—გალიას სდებს კალათში. შემდეგ მეფუტკრე არხეინად არის: გული საგულეს აქვს. კარგად იცის, უდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოთ ფუტკრები არსად წავლენ და იქ დასცემენ ბინას, საცა მათი დედა-მამრავლია. აბა, სად გაგონილა, ლაშქარს წინ სარდალი არ მიუძღოდეს! როცა ფუტკრები კალათაში დაბინავდებიან—მეფუტკრეს მოაქვს და ძირსა სდგამს, ჩეროში, მყუდრო ადგილას. თვითონ-კი ახლა სკა უნდა მოამზადოს. სკას სდგამს იქ, საცა სამჯობინაროდ მიაჩნია, საფრენს აღმოსავლეთისაკენ დაატანს, იმისთვის რომ ფუტკრები პირველ მზის სხივებმა სამუშაოდ გამოაღვიძოს. სკა საჭიროა დაიდგას ძრიელ სწორედ, თარაზოში. თუ მეფუტკრე სკაში ამ დროს ჩასდებს ცოტაოდენ ისეთ ფიჭის ნაჭერს, რომელშიაც არის მუშა ფუტკრის კვერცხები და მატლები, ძრიელ კარგი იქნება, რადგან ყოვლად შეუწყნარებელია—ფუტკრებმა (ნაყარმა) დასტოვოს უპატრონოდ ჭიები. მეორეს მხრით, ეს იმითია სასარგებლო, რომ, თუ დედა არა ჰყავს მართვს (მართვი უდედოთ არ გამოვა, ეგ ვიცით, მაგრამ შეიძლება ბალახებში ჩავარდეს; ან ცელქმა ჩიტმა ან კრაზანა-ბუზმა ჩაყლაპოს.) მაშინ შეეძლებათ კვერცხიდან აღზარდონ დედა. თუ სკა ჩარჩოიანია (მსწავლულ კაცების მოგონილი), მაშინ მეფუტკრემ ჩარჩოებზე თუტკრებს სანიმუშო ფიჭა უნდა მიუწებოს. ასეთის თავდარიგის შემდეგ, მეფუტკრეს მიაქვს სამართვე სკასთან, თუ დედა დაჭერილი ჰყავს, აბინავებს პირველად გალიას სკაში და შემდეგ ჰყრის შიგ ფუტკრებს და სკას თავს ჰხურავს. რამდენისამე საათის შემდეგ, ფუტკრები ახალ ბინაზე მშვიდობიანად ეთვისებიან ახალ სადგომს და იწყებენ ჩვეულებრივ მუშაობას. კარგია, თუ ამ დროს მეფუტკრე ფუტკრის წასახალისებლად და ზედ მეტ შრომის გამოსაწვევად აჭმევს თაფლს ან ტკბილ თაფლ-შაქარა ფაფას. დედა-ფუტკარს (თუ ის ტყვედ არის საკანში) ათავისუფლებენ ორი-სამის დღის შემდეგ, ესე იგი, როცა მეფუტკრე დარწმუნდება, რომ ნაყარმა გული დასდო და ოჯახობას მოჰკიდა ხელი. ორემ არის ისეთი შემთხვევაც, ძრიელ ხშირიც, რომ ნაყარს არ მოუვა ჭკუაში ადამიანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ არჩეული ბინა, სტოვებს ამ ბინას და მიდის ტყეში მზვერავთაგან არჩეულ ბინაზე.

ახლა მივხედოთ ძველ სკას, რომელშიაც იყარა, გავიგოთ იქ რაღა ამბავია! იქ ხომ რამდენიმე ახალგაზრდა დედებია. წინად მოგახსენეთ, დედა ფუტკრები დიდი გორობი, მედიდური ხალხია მეთქი: ყველა იმის ცდაშია, თვითონ დაიმშვენოს თავი დედოფლის გვირგვინით. არას დაგიდევს, თუ გინდ ასეთ მის პატივ-მოყვარეობას თავისის ღვიძლის დის სისხლი შეეწიროს. ახლა სკა განიცდის სწორედ იმ ხანას, როცა ირღვევა ის სამეფო, რომელსაც სამეფო სკიპტრა ერთი აქვს, მემკვიდრე კი მრავალი ჰყავს. ზოგიერთნი ნაზირ-ვეზირნი, ერისთავნი და სხვანი ერთ მემკვიდრეს ემხრობიან, ზოგნი—მეორეს. არის ერთი ქიშპობა და შეიძლება სისხლიც დაიღვაროს. ისე ჩვენს სკაში—რამდენსამე დედოფალს მოუყრია თავი და ერთი ცილობა აქვთ. დავა აქაც სისხლის ღვრით დასრულდებოდა, რომ მუშა ფუტკარი არ ერეოდეს საქმეში. ასეა ცხოვრებაშიც. ხან და ხან ტახტის მემკვიდრეთა შორის ატეხილ დავის გადამწყვეტი ჯარის-კაცობა და მხედრობაა. ვისაც მიემხრობა ჯარი, გამარჯვებულიც ის არის. აქაც მუშა ფუტკრების ნაწილი ემხრობა ზოგიერთ ახალგაზრდა დედას, სტოვებს ძველ სკას და გამოდის გარედ. მაშინ იტყვის მეფუტკრე, ფუტკარმა **ნამეორედა** (вторакъ) გამოუშვაო. ეს მოხდება ხოლმე პირველ ნაყარის გამოშვების 8—10 დღის შემდეგ. პირველი ნაყარი (ნამთავარა) თუ დინჯი და წყნარია (წონითაც ნამეორედაზე მეტია; მაგალითად ნამთავარა უნდა იყოს 5—10 გირვანქა, ნამეორედა კი 3—5 გირ.) ადრეც ჰყრის ხის ტოტზე; ნამეორედა—ცელქი და მოუსვენარია. არც გასაკვირველია. ნამთავარას დინჯი, დარბაისელი, ნაყოფიერი დედა იახლა, ნამეორედას-კი კოპწია, ახალგაზრდა, კეკლუცი სადედოფლოები ახლავთ. ისინი დიდ ხანს ირევიან ჰაერში. როცა დაბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავდებიან, მეფუტკრემ იმავე რიგით უნდა ჩამოიყვანოს, რო-
გორც ნამთავარა. მაგრამ ძნელია მათ შორის ცელქის დედების
ძებნა; თან არც კი ვიცით დაბეჯითებით, რამდენი ჰყავს. შე-
იძლება ჰყავს ორი, სამი და ხან და ხან ათამდეც კი არის. ამი-
სათვის მეფუტკრე, თუ დრო აქვს, ყველას ატუსაღებს და,
რომელ გალიასაც მეტი შემოეხვევა, იმას სტოვებს სადგამუ-
რათ (სადედოდ); დანარჩენს აშორებს, ან არა და უფრო ხში-
რად ჰყრის სკაში და იქ, თუ რომელი დარჩეს ნამდვილ დედა-
მამრავლად, თვით დედოფლების ლონეზეა დამოკიდებული. მუშა
ფუტკარს უნდა ერთი დედა, მაგრამ კარგი და ყოჩაღი. ამი-
სათვის ფუტკრობა ახალგაზრდა დედებს სრულს თავისუფლე-
ბას აძლევს. ისინიც დაერევიან ერთმანეთს და იმართება ტახ-
ტისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. რომელიც ყველას დასძ-
ლევს, ყოჩაღიც ის არის და სწორედ ეგ უნდათ მუშა ფუტკრე-
ბსაც: უნდა ჰყავდეთ ლონიერი, ჯანმთელი დედა. ომ-გადახ-
დილ, გამარჯვებულ დედას მუშა ფუტკრები შემოეხვევიან და
კანონიერ დედოფლად აღიარებენ. ისიც შეიფერებს თავის და-
ნიშნულებას და, როგორც წინა საუბრიდგან ვიცით, დასა-
პეპლავად გამოფრინდება; შემდეგ დაპეპვლისა, იწყებს კვერ-
ცხის დებას და შთამამავლობის გამრავლებას. იმ სკამ-კი, საი-
დანაც ნამეორედა გამოვიდა, შეიძლება კიდევ იყაროს, მაგ-
რამ რადგან ეს მის სკას ძრიელ დაასუსტებს, მეფუტკრე ამის
ნებას არ მისცემს. და არც საჭიროა, რადგან კვლავ ნაყარი
ცალკე ოჯახისთვის სუსტი იქნება და ძველ ოჯახს კი დააკ-
ლდება.

საზოგადოდ მართვობა-ნაყარობა გაგრძელდება ხოლმე
ჩვენში აპრილის პირველ რიცხვებიდან თიბათვის პირველამდე.

აპ. წულაძე

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰაერის დამოკრძალება

როგორ გადავფრინდი ლამანშზე.

(ლუი ბლერიოსი)

ი რას გვიამბობს ბლერიო თავის ჰაერით მგზავრობისას და ლამანშზე გადაფრენისას.

გადაფრენის დღეს, დილით ადრე, საძაგელ გუნებაზე გამოვიღვიძე, მაგრამ, როდესაც გამოვედი გარეთ, დილის ნიავმა ისეთის სიამით დამიბერა და გამიგრილა პირისახე, ამინდი იმდენად მშვენიერი იყო, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემმა უგუნებობამ სრულიად გაიარა და ვიგრძენ, რომ მხნეობა მომემატა.

ფარდულიდან ჩემი მონოპლანი გამოიტანეს ეზოში. შეუდექით მანქანების გადაშინჯვას. ახალი ვინტი მშვენივრად მუშაობდა და ადვილად ავდიოდი ჰაერში. ქარი მიზიდავს ლამანშისაკენ. ყოველივე მზად არის. უცდი მხოლოდ მზის ამოსვლას. მანიშნებენ, მზე ამოვიდაო. აგერ ვიწევი მაღლა, სულ მაღლა და მაღლა მივფრინავ.

ახლა ზღვას დავცქერი; მარჯვნივ კონტრ-ნაღმიანი გემია.

მივფრინავ წყნარად. ქარი არა ჰქრის და ამიტომ საქე არ მჭირდება. მე მგონია, ნელა მივფრინავ-მეთქი, მაგრამ მგონია იმიტომ, რომ ჩემ ქვემოდ ზღვის ზედა პირის ერთგვაროობაა.

როდესაც მივფრინავ ხმელეთზე, პანორამა ყოველ წამს იცვლება, ერთს სურათს მოჰყვება მეორე სურათი, შთაბეჭდილებანი სწრაფად იცვლება.

ვემადლიერები გულში ჩემს ჰაეროპლანს და კმაყოფილებასა ვგრძნობ. სწორედ და კარგად მუშაობს. რადგან არ მინდა შევაჩერო ჩემი ფრენა, მივატოვე ნაღმიანი გემი და დავრჩი მარტოდ-მარტო უსამზღვრო ზღვაზედ.

არ დამინახავს არც ჰორიზონტი, არც რომელიმე წერტილი, არც ერთი ორთქლმავალი; დუმილი და მყუდროება, რომელსაც არღვევდა მარტო მოტორის ხმაურობა, თუმცა საშიშო იყო, მაგრამ მაინც საუცხოვო მეჩვენა. ამიტომ დიდის ყურადღებით ვადევნებდი თვალს ზეთისა და ბენზინის განაწილებას. 10 წუთის შემდეგ, რომელიც ერთობ გაჭიანურებული მეჩვენა, დავინახე ნაცრისფერი ხაზი; ეს ხაზი თან და თან ცხადად გავარჩიე. უეჭველად ინგლისის ნაპირია მეთქი. მივფრინავ ამ ნაპირისკენ, მაგრამ ქარი და ნისლი მეხვევა გარშემო და მიძნელდება ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

თითქმის ვერასფერს ვერ ვხედავ. სად არის დუვრი? სადა ვარ მე? უცბად ვხედავ სამ გემს, ალბად მიეშურებიან ნავთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგურისაკენ. მეც მივდევ იმათ. ზღვაოსნებმა შემამჩნიეს და სალამს მაძლევენ.

მივფრინავ პირ-ქარში ნაპირისაკენ. ქარი ძლიერ ღონიერია; დიდი ძალა მჭირდება. უცბად ვხედავ, ჩემ წინ გამოჩნდა დუვრის უბე.

გიჟურ სიხარულსა ვგრძნობ! ავისრულე ჩემი ნატვრა და თან მშვიდობით გადავრჩი. მივეშურები აღნიშნულ ადგილს და სწრაფად ვეშვები ძირს. ქვემოდან მიქნევენ სამ-ფეროვან ბაირაღებს. ჰაეროპლანს უკან ძლიერია ჰაერის ტალღა და, როდესაც უახლოვდები დედა-მიწას, მიტაცებს გრიგალი.

ვშიშობ, მთელი აპპარატი არ დამემსხვრას; ამიტომ ვაქრობ ცეცხლს მოტორში და ვემორჩილები ბედს. ჩემი ჰაეროპლანის ჩარჩო ეხეთქება მიწას და ცოტათი ზიანდება. რა უშავს! ხომ გადავფრინდი ლამანშზე!

ხალხი ბუზივით მეხვევა გარშემო. მილოცავენ, მეალერსებიან, მართმევენ ხელს. 33 წუთში გადავიარე ფრენით ლამანში!

დ. ახვლედიანი

(დასასრული)



საზღვარ გარედ

(მოგონებანი და შთაბეჭდილებანი)

ინგლისში სრული თავისუფლებაა კრებისა და სიტყვისა. სადაც გინდა ილაპარაკე, რაც გინდა ილაპარაკე კანონის ან ჩვეულების მიერ დადებულ საზღვრებში. ხუმრობით ამბობენ, კრივის გამართვაც კი შეიძლება ქუჩაშიო, ოღონდ მოკრივენი კანონიერად უნდა კრივობდნენ. კრივს „ბოკსს“ ეძახიან და „ბოკსს“ თავისი წესი აქვს. ცხვირ-პირში გარტყმა, მაგალითად, ბოკსის წესით აღკრძალულია. ბოკსერებმა ბეჭები და მხრები უნდა უზილონ ერთმანეთს. ერთ პოლონელს „ბოკსის“ დროს უკანონო ადგილზე გაურტყავს თავის მოპირდაპირესთვის. იმ წამსვე გაჩნდა საიდანღაც პოლიციელი ⁄ დააპატიმრეს კანონიერების დამრღვეველი პოლონელი. კანონი და ჩვეულება ინგლისელს დიდადა სწამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონდონის გარედ სახალხო დღესასწაული იყო. ამ დღესასწაულს მეც დავესწარი. აქ უმეტესად მუშა ხალხი იყრის თავს. ერთ საშუალო საუკუნის ციხე-დარბაზთან, სადაც ძველ დროში მრისხანე ფეოდალი სცხოვრობდა, განსაზღვრულ დროს (შემოდგომას) ყოველ წლივ გროვდება აურებელი ხალხი. ხალხს ციხის სარდაფებში ძვლებს და კედელზე მიკრულ ჯაჭვებს აჩვენებენ—ძველი დროის ნაშთი, როდესაც მებატონეს ხელში იყო ყმათა სიცოცხლე და სიკვდილი. აქვე იმართება ტრიბუნები, საიდანაც ორატორები ცხარე სიტყვებს ამბობენ. ხალხი ყურადღებით უსმენს მოლაპარაკეთ და აღელვებასა და აღფრთოვანებასაც კი იჩენს. აქ პირველად დავინახე აღფრთოვანებული ინგლისელები—ჯონ ბერნსს სიტყვას ხშირ-ხშირად უწონებდნენ, თანაგრძნობის ნიშნად „ხია“, „ხია“-ს იძახდნენ და ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ერთად შეჯგუფულ ხალხს ყველგან ერთი და იგივე თვისება აქვს. მიუხედავად იმისა, რომ იგი შესდგებოდა აქ თავდაჭერილ და „ცივ“ ადამიანებისაგან, ერთმანეთთან სულიერ ხელშეხების დროს რაღაც ნაპერწკალი გაუღვივდა გულში და ამ ნაპერწკალმა აჩქარებული და გულწრფელი კილო მისცა ლაპარაკს, სიცილს და დროს გატარებას. აქვე დიდ მინდორზედ, თოკებ შემოვლილ ადგილას გაჯიბრება იყო გამართული ბურთის მოთამაშეთა და სწრაფად მოსიარულეთა შორის. ხუთი-ექვსი კაცი გამწკრივდებოდა რიგზე და, ნიშანს რომ მისცემდნენ, გასწევდნენ თოკის ირგვლივ იერიშით. ვინც პირველი მოირბენდა, ჯილდოს მიიღებდა. ერთ წამს დამავიწყდა, რომ ინგლისში ვარ და სამშობლოში მეგონა ჩემი თავი.

საღამო ხანს მატარებლები გაივსო შექეიფიანებულ და მომღერალ ხალხით. უფრო „მარსელიეზას“ მღეროდნენ.

დაღამებული იყო, ლონდონში რომ მივედით. ჩემს მატარებელს, რომელსაც სოფლისაკენ უნდა წავეყვანე, ძლივს მიუსწარი. მაგრამ გზაში მარცხი მომივიდა. ერთ სადგურზე, საცა უნდა ჩამოვსულიყავი და სხვა მატარებელში ჩავმჯდარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიყავი, არ ჩამოველ და, საცა ჩემი გზა არ იყო, იქითკენ გამასრიალა მატარებელმა. უილაჯოდ ფანჯარაში ვიყურებოდი და ღამის წყვდიადი, რომელიც მოაწვა ქვეყანას, არაფერს სანუგეშოს არ მეუბნებოდა. პირველ გაჩერებისათანავე ჩამოველ, მაგრამ რად გინდა, სად წახვალ ამ უცნობ ქვეყანაში. გამოველ სადგურის ეზოში. ერთი „ბლანქარდი" (დროგი) იდგა იქ. თითქოს ისე არა ბნელოდა, როგორც ვაგონის ფანჯრიდან მეჩვენებოდა. გავიხედე აქეთ-იქით. ვარსკვლავების მეტი, რომელიც ლამაზად ციმციმებდნენ, არავინ იყო იქ ჩემის უმწეობის მოწამე-დამნახველი, მაგრამ პატარა ხანს უკან კი რამდენიმე ახალგაზდა ბიჭი მიუახლოვდა ამ „ბლანქარდს" და დაცარიელებულ ჟესტის ყუთებით ტვირთვა დაუწყეს. მივედი, უამბე ჩემი ამბავი. მითხრეს, შორს წამოსულხარო. კოკლაკი აქედან 15 მილის მანძილზე იქნებაო. არაფერიაო, მანუგეშეს, ათიოდე მილს ჩვენ გაგატარებთ, მერე გზას გაჩვენებთ და ფეხით მიხვალთო. დიდი მადლობა უთხარი და გავსწიეთ. სამი ყმაწვილი იყო, მოჯამაგირეთ მსახურებდნენ ერთ ფერმერთან. ლონდონში რძე და ყველი ჰქონდათ წასაღები. ახლა უკან ბრუნდებოდნენ ფერმაში. მეც გამომკითხეს და დიდის ინტერესით მაძლევდნენ სხვა-და-სხვა კითხვას. დაილოცა ახალგაზდობა! ყველგან უმანკო და წრფელია თავის წადილებითა და განზრახვით! გამომშვიდების დროს ფულს ვაძლევდი, მაგრამ არ აიღეს და ძალიან შემრცხვა ჩემის სიბრიყვისა. დავადექი გზას, უკვე ჩემთვის ნაცნობ გზას, და შუალამე იქნებოდა, რომ ჩემს „კოტეჯს" მივადექი. კარებში შევდექი, ერთი კიდევ მივიხედ-მოვიხედე, სალამი მივეცი გარინდებულ ღამეს და მოციმციმე ვარსკვლავებს და შევედი ჩემს ოთახში.

არჩილ ჯორჯაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიაც მოსახმარია, თუ კაცი გონიერია

(დასასრული*)



უთის ხეებზე ჭიას დიდ ზიანს აყენებს ავდარი. წვიმა ჭლახავს და სიცივე სძრავს. გარდა ამისა, ფრინველებისაგანაც არ აქვთ მოსვენება; რასაკვირველია, სხვაც ბევრი ჰყავს მტერი: მაგალითად, არის ერთი ბუზის მსგავსი მწერი „მხელთარი", სხეულის უკანა ნაწილზე აქვს მილი; ამ მილით უხვრეტავს ჭიას კანს და შიგა სდებს კვერცხებს; ამ კვერცხებიდან ჭიები იჩეკებიან და აბრეშუმის ცოცხალ ჭიას შიგნეულებას შეუთქვლეფავენ.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ჭია თვითონვე გადასჭრის იმ ფოთლის ყლორტს, რომელზედაც ზის, და ჩამოვარდება მიწაზე; აქაც ბევრი მტერი დახვდება: ხვლიკები, ჭიანჭველები, ბუზანკლები, გველები, ობობები და სხვ.

ხეებზედ ჭიები ბლომად იხოცებიან; როგორც კი გაიგო ადამიანმა, რომ ჭია ლამაზ და მაგარ აბრეშუმის ძაფს აკეთებს, მაშინვე შეუდგა იმის მოშენებას; ტყიდან გამოიყვანა ჭია და

*) იხილე „ნაკადული" № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაფარა ოთახს, სადაც უშიშრად არის მტრებისაგან. იმედი ჰქონდა, რომ გამოიყენებდა.

ყველაზე ადრე ჭიის მოშენებას ჩინელები შეუდგნენ. ვითომ ამბობენ, ძველად ორი ათასის წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე, ჩინეთს მფლობელობდა „ხოანგ-ჯი", მეფე ძლიერ ჭკვიანი, ნასწავლი, კეთილი და მზრუნველი თავის ქვეშევრდომთათვის, ხოანგ-ჯიზე ადრე ჩინელები ქოხ-მახებში სცხოვრობდნენ და მძიმე ტვირთს ზურგით ეზიდებოდნენ. მან ასწავლა ჩინელებს მშვენიერის სახლებისა და ურმების კეთება; არც ნავსნობა იცოდნენ თურმე: ან ცურვით, ან კატარღით*) გადიოდნენ წყალში; ხოანგ-ჯიმ ასწავლა ნავების კეთება. სხვაც ბევრი რამ ასწავლა ხალხს, თუ დაუჯერებთ გადმოცემას.

იმის დროს ჩინელები უკვე იცნობდნენ აბრეშუმის ჭიას და იმის მუშაობას. აგროვებდნენ კიდეც ტყეებში ყაჭს; მხოლოდ ეს ბევრ დროსა და ჯაფას თხოულობდა.

ერთხელ მეფემ უთხრა თავის მეუღლეს:

— მე ხალხს ვუყვარვარ, იმიტომ, რომ ბევრი რამ ვასწავლე; მინდა შენც სარგებლობა მოუტანო შენს ქვეყანას და შენც ჩემსავით შეგიყვარონ; ყურადღება მიაქციე აბრეშუმის ჭიას, დიდს სამსახურს გაგიწევს. მეუღლემ, რომელსაც ზილინგ-ხის ეძახდნენ, გაუგონა ქმარს; მოახლეების შემწეობით, მოჰკრიბა ტყეში აბრეშუმის ხეებზე ჭიები მიიტანა სახლში და დაუწყო მოვლა. გაგონილი ჰქონდათ, რომ აბრეშუმის ხეებზე ჭიები უფრო მსხვილი, მაძღრები და გონივრებია, ვიდრე სხვა ხეებზე. ამიტომ თუთის ფოთლებს ბლომად უზიდავდა თავის ჭიებს; როგორც კი შესჭამდნენ ან დასვრიდნენ ფოთლებს, მაშინვე ახალი, ნორჩი ფოთლები მოჰქონდა. დღით სიცხისაგან და ღამეც სიცივისაგან იფარავდა ჭიებს. ჭიებმა

*) ორი ტივის ხეა ერთმანეთზე გადაბმული, შეაცურებენ წყალში, მოუსმენ ნიჩაბს და გადიან მეორე ნაპირას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის სასახლეში დიდებული ყაჭი გაიკეთეს; ფერიც, სიდიდეც და ყაჭის სიდიდეც უკეთესი იყო, ვიდრე ტყისა.

ყაჭიდან, პარკებიდან გამოფრინდნენ პეპლები, დაჰყარეს კვერცხები, საიდანაც ისევ ჭიები გამოიჩეკენ.

ასე გავრცელდა ჩინეთში შინაურ აბრეშუმის თესლი.

ზილინგ-ხის მაგალითს სხვა ქალებმაც წაჰბაძეს და სასახლე თითქოს სულ გაივსო აბრეშუმის ჭიით.

განა მარტო ჭიის მოვლა ისწავლა ზილინგ-ხიმ? მან ისწავლა აგრედვე ყაჭის ამოხვევა ძაფად და ძაფის დართვა.

როდესაც ჭია პეპელად იქცევა, ჰხვრეტს და აფუჭებს ყაჭს, ამიტომ ყაჭშივე ჰკლავენ: ყაჭის პარკს შესდგამენ გახურებულ ღუმელში ან ცხელ წყალს ასხამენ ქვაბში.

როდესაც ჭიები დახოცილია, ყაჭს ჰყრიან თბილ წყალში და ჯოხით ურევენ. ყაჭი ლბება და ძაფის თავები ზევით ამოცურდება. ამომხვევი დედაკაცები ოთხ-ხუთ ძაფს ერთად აგროვებენ და ამოახვევენ ერთ მსხვილ აბრეშუმის ძაფად, შულოებად. ერთი ყაჭიდან განუწყვეტლად გრძელდება 300—400 საჟენი სიგძე ძაფი.

ასე ახვევედა ძაფს ჩინეთის დედოფალიც.

დაინახა თუ არა მეფემ, რომ საქმე გაიჩარხა, გასცა ბრძანება, რომ ყველა შესდგომოდა თუთის ხის რგვას და მოშენებას.

ბრძანება, რასაკვირველია, შეასრულეს როგორც მდიდრებმა ისე ღარიბებმა, ვისაც კი გააჩნდა პატარა ნაჭერი მიწა მაინც. ხეები იზრდებოდა; ამ დროს კი დედოფალი ასწავლიდა ხალხს სახლებში ჭიების მოვლას... ხეები დაიზარდა; ჭიებს მზად აქვთ საზრდო. მაშინ მეფის მაგალითით წაქეზებულნი, სხვა ქალებიც შეუდგნენ ჭიის მოვლას და აბრეშუმის ძაფის რთვას.

ცოტა ხნის შემდეგ ზილინგ-ხი აკეთებდა მშვენიერ აბრეშუმის ქსოვილს და ჰქარგავდა ზედ საუცხოვო ყვავილებსა და ფრინველებს. მალე მეფეც, დედოფალიც, მათი შვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებიც და აგრედვე წარჩინებულნი გამოეწყენ აბრეშუმის ტანისამოსში.

ჩინელებისაგან უცხოელნიც ყიდულობდნენ აბრეშუმს, მხოლოდ ძლიერ ძვირად უჯდებოდათ.—როგორც ჭაში წყალი, ისე ჩინეთში აბრეშუმი—არ ილევაო—ამბობდნენ სხვა ქვეყნებში და მიდიოდნენ ჩინეთისაკენ აბრეშუმისათვის. სავლელი გზა დიდი იყო. მაშინ არც ორთქმავალი და არც გემები არ არსებობდნენ; გზაც კარგად არ იცოდნენ; ზღვით წასვლა ადვილი არ იყო და ხმელეთით ხომ უარესი. მაგრამ აბრეშუმი ისე ძვირად ფასობდა, რომ ყოველ ჯაფას კისრულობდნენ. გირვანქა აბრეშუმში ვაჭრებს გირვანქა ოქროს აძლევდნენ. უცხო ქვეყნებში აბრეშუმი მხოლოდ ძალიან მდიდრებს, გამოჩენილ კაცებს ეცვათ.

რამდენმამე ასმა წელმა განვლო, სანამ აბრეშუმის წარმოობას სხვა ქვეყნებშიაც შეუდგნენ. მაშინ კი ყველას შეეძლო მისი ჩაცმა, რადგანაც ძლიერ გაიაფდა.

ჩინელები სასტიკად ადევნებდნენ თვალ ყურს, რომ ჩინეთიდან არავის გაეტანა აბრეშუმის და თუთის ხის თესლი. იმისი გატანა აკრძალული იყო, დამნაშავე სიკვდილით ისჯებოდა.

მაგრამ უცხოელებმა მაინც მოახერხეს იმის შოვნა. პირველად ამ განძის შოვნა ჩინელების მეზობელ ქვეყნის ბუხარის მფლობელმა მოახერხა.

თხოვნით, საჩუქრებით, მოსყიდვით დიდხანს ეცადა თესლის გამოტანას, მაგრამ ვერას გახდა.

— სადაც კაცის ჭკუა ვერ გასჭრის, იქ ქალის ხრიკი გამოდგებაო, იფიქრა ამ მფლობელმა; გაჰგზავნა ჩინეთის მეფესთან ელჩები და სთხოვა ერთად ერთი ქალი საცოლედ. მეფე დასთანხმდა. მაშინ ბუხარის მფლობელმა ფარულად გამოუცხადა საცოლეს: —ჩემი სამეფო ყველაფრით მდიდარია, მხოლოდ აბრეშუმი გვაკლია: არც თუთის ხე გვეზრდება და არც აბრეშუმის ჭია გვყავს. თუ არ გინდა აბრეშუმის ტანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოსი მოგაკლდეს, თან წამოიღე აბრეშუმისა და თუთის ხის თესლი.

მეფის ასულმა არავის არაფერი არ გააგებინა; ჩააკერა თავდასახურავ სამკაულში აბრეშუმისა და თუთის ხის თესლი და გასწია საქმროსაკენ. საზღვარზედ ისიც სასტიკად გასჩხრიკეს, მაგრამ ვის მოუვიდოდა აზრად, რომ თმისა და თავის სამკაული გაეშინჯათ. ასე გადმოვიდა ბუხარაში აბრეშუმის ჭიის და თუთის ხის თესლი.

ჩაიგდეს თუ არა ხელში, ბუხარელებიც ისევე ერიდებოდენ აბრეშუმის გავრცელებას სხვა ქვეყნებში, როგორც ჩინელნი ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენში კიდევ დიდხანს არ გავრცელებულა აბრეშუმი.

თითქმის 1300 წლის წინად, კონსტანტინეპოლში (ძველ საბერძნეთის დედა ქალაქში) ბერძნების მეფესთან მივიდა ორი ბერი. ბევრ საოცარ ამბავს მოუყვნენ მეფეს. სხვათა შორიც ისიც მოახსენეს, როგორ იმოგზაურეს ჩინეთში, როგორ შეამჩნიეს აბრეშუმის ჭია, ჭიებს რას აჭმევდნენ, როგორ უვლიდნენ და სხვა. ძლიერ გაეხარდა მეფეს და უბოძა ბერებს ძვირფასი საჩუქარი; ბერებმა-კი სამაგიეროდ თუთის თესლი შესთავაზეს მეფეს და თანაც დაარწმუნეს, რომ, როგორც-კი ხეები დაიზრდებიან, აბრეშუმის თესლიც ზედ იქნება მოსხეულიო. ხეები კი ამოვიდა, მხოლოდ აბრეშუმი არსადა სჩანდა. მიიწვიეს ბერები სასახლეში და აუარებელ სიმდიდრეს დაჰპირდნენ აბრეშუმის თესლის შოვნისათვის. ბერები დასთანხმდნენ და გასწიეს ჩინეთისაკენ. იქ ამოლრუტნეს თავიანთი ხის ჯოხები, შიგ ჩუმად აბრეშუმის თესლი ჩაჰყარეს, მაგრად დაუცეს თავები და გამოსწიეს უკან.

საზღვარზედ დარაჯებმა თავით ფეხამდის გასჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი უპოვეს ვინ მოიფიქრებდა, რომ ჯოხები თესლით იყო სავსე.

ამრიგად მოიტანეს აბრეშუმის თესლი კონსტანტინეპოლში 555 წელს ქრისტეს დაბადების შემდეგ. როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუთის ფოთლები გაიშალა, კვერცხებიდანაც ჭიები გამოჩეკა. ამგვარად გავრცელდა ევროპაში აბრეშუმი, იქიდან კიდევ სხვა ქვეყნებში გადავიდა... მაგრამ აბრეშუმი დიდხანს ძალიან ძვირი იყო. ცოტაოდნად მომჭირნე და დამზოგველი მეფეც-კი ერიდებოდა მის ჩაცმას. 800 წელს შემდეგ ქრისტეს დაბადებიდან მეფობდა ევროპაში მეფე კარლოს დიდი; მთელი ეხლანდელი გერმანია, იტალია, საფრანგეთი და ისპანია— სულ იმისი სამფლობელო იყო. მაგრამ ძალიან უბრალოდ სცხოვრობდა. მის დიდებულებს-კი ძლიერ უყვარდათ ბრწყინვალე მორთულობა. იცვამდნენ აბრეშუმებს და ქუდებზე სირაქლემის ფრთებს ატარებდენ. ერთხელ მეფემ ნადირობა გამართა პირველ ნოემბერს და მოიწვია წარჩინებულნი. ძალიან ეჯავრებოდა თავის ქვეშევრდომთა პრანჭვა. მედიდურობა და სურდა დაესაჯა. წარჩინებულნი დანიშნულ დროს სასახლეში შეიკრიბნენ; რადგანაც ერთი მეორეს წინაშე გამოჩენას აპირებდნენ, საუკეთესო აბრეშუმის ტანსაცმელი ჩაეცვათ. დღე ძალიან ავდრიანი დაუდგათ; მეფემაც ნადირობა არ გადასდო და წარჩინებულნი იძულებულნი იყვნენ მთელი დღე ედევნათ მეფესათვის ვიწრო ბილიკებსა და ეკლიან ძეძვებში. კარლოსმა უბრძანა, ცეცხლი დაენთოთ, რათა წარჩინებულნი გამთბარიყვნენ და გამშრალიყვნენ. გათბობით კი გათბნენ, მხოლოდ აბრეშუმის ტანისამოსი შეიჭმუხვნა და დაუმოკლდათ, ხოლო ეკლებისა და ხის ტოტებისაგან ძვირფასი ფრთები სირაქლემისა, რომელიც ქუდებზე ჰქონდათ გაკეთებულები, სულ დაიკუწა და სასაცილოდ ეკიდა ქუდებზე; საცოდავი შეხედულება ჰქონდათ ამ დროს წარჩინებულთ. ძალიან ძვირად დაუჯდათ ნადირობა; მაშინ მეფე მიუბრუნდა და უთხრა: „თქვენ რომ ჩემსავით უბრალო ტანისამოსი გცმოდათ, ახლა ალარ დალონდებოდით და არ ინანებდით, იმდენი ფული რაზედ დავხარჯეთ სულელურად აბრეშუმსა და ძვირფას ფრთებზედაო.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდათან ვრცელდებოდა აბრეშუმის წარმოება ჯერ ქალაქებში და შემდეგ სოფლებში. პირველად იტალიაში დაიწყო აბრეშუმის წარმოების გავრცელება. გლეხები თუთის ხეს ბრძანებით აშენებდნენ, მიჰქონდათ ფოთლები გასასყიდად ქალაქებში, სადაც ჭიებს ზრდიდნენ და უვლიდნენ. მალე მიხვდნენ გლეხები, რომ თითონაც შეეძლოთ ჭიის გაჩენა, უაჭის ამოღება შულოებად, ძაფის დათრვა და აბრეშუმის ძაფის გაყიდვა. ბავშვები, მოხუცები, ღარიბ-ღატაკნი და შეძლებულნიც-კი ყველანი შეუდგნენ აბრეშუმის წარმოებას და ამიტომაც დღეს ასე გაიაფდა აბრეშუმი.

ს. ორბელიძე

(დასასრული)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონის ვილლა *)

ყოფილ დრო, როდესაც ადამიანი, უვიცობის გამო, ბუნების სხვა და სხვა მოვლენას რაღაც იდუმალ ძალას აწერდა, აღმერთებდა და თაყვანს სცემდა, მაგრამ დღეს კაცობრიობას იმდენად გაცნობილი აქვს ბუნება, რომ ზოგიერთ ძალით სარგებლობს კიდევაც და ცდილობს კიდევ უფრო დაიმორჩილოს. ინჟინერები და ხუროთ მოძღვრები თავის ხელოვნების შემწეობით ახლა იმას სცდილობენ, სავსებით გამოიყენონ ელექტრონი, წყალი, შეკუმშული ჰაერი, სითბოთი, სინათლე და სხვა.

ერთმა მდიდარმა კაცმა, ამერიკელმა კნაპმა საოცრად მოაწყო თავისი ვილლა ელექტრონის შემწეობით.

აი, რას მოგვითხრობს ერთი კაცი, რომელიც კნაპს ეწვია ამ ვილლაში. „დავაჭირე თუ არა თითი კარებზე ელექტრონის ფოლაქს, მაშინვე ელექტრონის შუქმა გამანათა და ხმა მომესმა:—გხედავთ, გხედავთ, ახლავე გაგიღებთ კარებსაო. როგორც კი შევედი სახლის კარებში, ვიგრძნე, რომ ფეხებქვეშ რაღაც ამოძრავდა; დავიხედე ძირს და დავინახე ელექტრონის თვითმოძრავი მანქანა, რომელიც კარების გაღებით ამოძრავდა, ფეხსაცმელებს მიწმენდდა, მაგრამ ყველაზე უფრო სასადილო მაგიდამ გამაცვიფრა. მაგიდის ნაპირებზე ირგვლივ ლითონის ღარები იყო შემოვლებული. მაგიდის ერთ თავში ამოჭრილი იყო წრე, სტუმრების წინ ორ-ორი ბატა-

*) ლამაზ ადგილას აშენებული და კარგად მოწყობილი საავარაკო სახლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა—ერთი ლითონისა და მეორე შუშის მოგრძო ჭიქები იდგა. მასპინძლის წინ ელექტრონის შავი და თეთრი ფოლაქების მთელი ჯარი იყო და სწორედ ესენი ეწეოდნენ მოსამსახურეების მაგიერობას. შემოუსხედით თუ არა სუფრას, მასპინძელმა დააჭირა ერთ ფოლაქს თითი და წამსვე ოთახი განათდა. გაჩნდა აგრედვე ყველას წინ ჭიქებიც. ლითონის ჭიქები სახლის გასათბობად იყო გაკეთებული. როცა სითბო 17°-ზე ავიდა, ამოძრავდა ჰაერის მამუშავებელი მანქანა და საამურმა სურნელოვანმა სიომ დაჰბერა. ფეხებ ქვეშ ყველას სათბობი მანქანა ეწყო და შეეძლოთ ფეხის წვერის შეხებით სურვილისამებრ აემოძრავებინათ და ეთბოთ ფეხები. მასპინძელმა კიდევ დააჭირა ფოლაქს თითი, უცებ წრე გადაიშალა და ხვრელიდან ამოვიდა ცხელი წვენით სავსე ჯამი და ნელა გასრიალდა ღარში. ჯამი ყველას წინ შეჩერდებოდა ხოლმე და, როცა სტუმარი კერძს აიღებდა, მიდიოდა მეორესაკენ. ამ ნაირად ჯამმა ორჯერ შემოიარა მაგიდა და, როცა ყველა დააკმაყოფილა, დაბრუნდა წრეში და ისევ ჩაძვრა თავის ხვრელში. შემდეგ გამოჩნდა ლითონის ხონჩა, რომელმაც შეაგროვა თეფშები და გაქრა. ამ წესითვე მოვიდა მეორე თავი საჭმელიც. ყველაფერი საოცრის სიმკვირცხლით კეთდებოდა. საოცარი და შესანიშნავია თურმე აგრედვე სამზარეულო. ჭურჭელი და სამზარეულო მოწყობილება, სულ ალიუმინისა იყო. დასდგამს თუ არა საჭმელს მოსახარშავად, მზარეული გამოსწევს ისარს და აამოძრავებს მანქანას; თითონ კი შეუძლია სრულიად თავისუფლად სხვა საქმეს შეუდგეს. დანიშნული დრო, რამდენიც უნდა საჭმელს მოსახარშად, რომ გაივლის, მანქანა გაჩერდება, დარეკს და ამით აცნობებს მზარეულს, რომ უკვე მზად არის. ასე გასინჯეთ ჭურჭელსაც კი ელექტრონის შემწეობით სწმენდენ და ჰფერავენ საოცარის სისწრაფით.

ცეცხლის გაჩენა ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც თუ ტემპერატურა დანიშნულზე მაღლა აიწევს, მაშინვე მთელ სახლში ზარების რეკა ასტყდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კნაპის სახლი ჩვეულებრივად არის აშენებული, მაგრამ კნაპი ფიქრობს, რომ ელექტრონის უფრო გამოსაყენებლად სხვანაირად აშენებული სახლი აჯობებს. იმის აზრით, სახლს ორი კედელი უნდა ჰქონდეს და ეს კედლები ერთმანეთზე ორ ფუტზე უნდა იყოს დაშორებული. ამისთანა კედლები ზამთარში უფრო შეინახავს სითბოს და ზაფხულში სიგრილეს, რასაკვირველია ელექტრონის საშუალებით.



გამოცანები

თუმც ბრუნდი ხარ, ლამაზიც ხარ,
ხეო, მარა არა ხეო.
მეფისა და დედოფლისა
ყელზე ხელის გადამხვეო,
ამ სოფლისა ლხინი ხარ და
იმ სოფლისა სამოთხეო,
მასპინძელო, თუ გესტუმრო,
ლხინი ამის მანახეო.

ერთი რამ უცხო ნაზარდი
შორს წაიყვანა ძიძამა,
იქ დახვდა ნათესავები,
მაგრამ ვერ იცნო ბიძამა;
თუ არც სიცივემ აწყინა,
არცა სიცხემა მზისამა.
ის გადარჩება, იხმაროს
შვილმან სხვა მამულისამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი

ს ყვ,

„

(კავში-
რი.) ვ (დაბა ზე-
მო რა-
ჭაში.) ეთ,

„ ვ ,

,10' ს

***

მე-2 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა:

იორი ჩადის ალაზანში, ალაზანი მტკვარში.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. **გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადულის რედაქციაში და წ.-კ. საზ.

მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

ზღაპრები, ვილჰემ და იაკობ გრიმისა, ნაკადულის რედაქციის გამოცემა, ფასი . . 30 კ.

ტომის თავგადასავალი, თხზულება, მარკ ტვენისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი . . . . . 50 კ.

რას გვიამბობს ოთახი. თხზულება ავენარიუსისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი . . . . . 20 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

1910 წლის იანვრიდან 1911 წლის იანვრამდინ.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

წელიწადი მეექვსე

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

გარდა ამისა 1910 წლის ხელის-მომწერლებს პრემიად მიეცემათ:

I. დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი, — ზდაპარი ევალდისა იქვსი სურათით. — **II. მარჯნები**, — ზდაპარი ევალდისა ოთხი სურათით. **III. თოლმეტი და**, — ზდაპარი ევალდისა ერთი სურათით. — **IV. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.**

ჟურნალს ხელმძღვანელობს უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარის წლით სამი მან.

სამზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი, ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან. — მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან. — ხელის-მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი